ახალგაზრდა ვერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი
14 ივნისი
№ 66 (11552)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 6 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ქრონიკა, ინფორმაცია

(საქინფორმის მასალების მიხედვით)

თეთრი წყაროს რაიონში წელს სვანეთიდან გადმოსახლებულთათვის უნდა აშენდეს 310 სახლი. სოფელ სამღერეთში მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულთათვის აშენდება კიდევ 95 სახლი. დმანისის რაიონში 300 სახლიდან ასაშენებელია 39 სახლი. სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ გამოხიზნულთათვის საცხოვრებელი სახლების დროულ აგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე, რესპუბლიკის შემდგომი დინამიკური და კომპლექსური განვითარების საქმეში — ასეთია საერთო აზრი, რომელიც ახალმოსახლეებთან და თეთრი წყაროსა და დმანისის რაიონების ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელებთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ალექსანდრე პავშენცევის შეხვედრების დროს გამოითქვა. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი უნდა გაკეთდეს. მშენებლები მზად არიან გაორკეცონ და გაასამკეცონ კიდეც სამუშაოთა ტემპი, მაგრამ ისინი ხელ-ფეხ შებორკილი არიან იმის გამო, რომ არა აქვთ საკმაო რაოდენობის საშენი მასალები. ისინი ერთხმად უჩიოდნენ დაუსრულებელ შეფერხებებს ცემენტის, ხე-ტყისა და საკედლე მასალების მიწოდებაში. მათ დაბალ ხარისხს. მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ თუ მეტნაკლებად ოპერატიულად წყდება საინჟინრო საკითხები, ამას ვერ ვიტყვით სოციალურ საკითხებზე.

●

თბილისის საბაგირო გზაზე ავარიის დროს დაზარალებულთა რიცხვი, რომლებიც ქალაქის კლინიკებში მკურნალობენ, 38-მდე შემცირდა. მათგან 21 ბავშვია. ექიმები მათ ჯანმრთელობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ. ექვსი კაცი, მათ შორის ოთხი ბავშვი, უკვე გამოწერილია სტაციონარებიდან. სამწუხაროდ, 19-მდე გაიზარდა დაღუპულთა რიცხვი.

ასეთი ცნობა მისცეს საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, დილით 12 ივნისს.

●



დამთავრდა სოხუმის ტრადიციული რესპუბლიკათშორისი საბითუმო ბაზრობა. მასში მონაწილეობდა ათი მოკავშირე რესპუბლიკის სამასზე მეტი სავაჭრო ორგანიზაცია, სამრეწველო საწარმო, კოოპერატივი. გასაყიდად წარმოდგენილი იყო თითქმის 50 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი. იგი ძირითადად იყიდებოდა შემხვედრი ვაჭრობის პირობებში, ასე ხვდებოდა ერთ რეგიონში ჩაწოლილი საქონელი, იქ, სადაც იგი არ ჰყოფნით. ბაზრობის გახსნის პირველ დღესვე დადებული ორმხრივ ხელსაყრელი სავაჭრო გარიგებების საერთო თანხამ 20 მილიონ მანეთს გადააჭარბა. საქართველო ფართოდ იყო წარმოდგენილი ამ საკავშირო ბაზარზე.

●

ყველა შეაძრწუნა 12 ივნისს გორის რაიონში მომხდარმა ამბავმა.

მაინც რა მოხდა კონკრეტულად? დეტალებზე — რამდენადაც ეს შესაძლებელია „ცხელ კვალზე“ — გვესაუბრება გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი უ. მგელაძე:

— დაახლოებით დღის სამ საათზე ცხინვალ-გორის ტრასაზე

მოდიოდა დუშეთის რაიონის კოოპერატივ „ტრანზიტის“ კუთვნილი მისაბმელიანი „მაზ-504“ ავტომანქანა. საჭეს უჯდა კოოპერატივის მძღოლი ჯუმბერ ცილიკიშვილი, მის გარდა კაბინაში იყვნენ მისი კოლეგა გიორგი მჭედლიშვილი და ლენინგორის რაიონის კოოპერატივ „მეგობრობის“ წევრი ნოდარ ინაური. მათგან უფროსი 38 წლისა იყო, უმცროსი 27.

სოფელ კარალეთის შესასვლელთან მძღოლმა ვერ შეძლო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ვერ დაიმორჩილა სატვირთო მანქანა წარმოქმნილი დაბრკოლების წინაშე. შემხვედრი მიმართულებით კი ამ დროს მოდიოდა სამგლოვიარო პროცესია... მძღოლმა, რომელიც ცდილობდა თავიდან აეცილებინა პირდაპირ შეჯახება ადამიანების მასასთან, საჭე შემხვედრი ზოლისაკენ მოატრიალა. ამის შედეგად იქ, უკვე ფეხითმოსიარულეთა ბილიკზე, გაიტანა სამი მოქალაქე. ერთი ადგილზე გარდაიცვალა, ორი კი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მანქანამ კი განაგრძო მოძრაობა, სანამ არ დაეჯახა ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს, რომელშიც საბედნიეროდ, არავინ არ დაშავებულა. მაგრამ, სამწუხაროდ, სატვირთო მანქანაში მყოფი სამივე ადამიანი დაიღუპა. ამ სამგზავრო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტის გამო გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

●

საფრანგეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი საქმიანი და კულტურული კავშირურთიერთობების შემდგომი გაფართოების საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველის როჟე გოდინოს, სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს ეკონომიკურ და სავაჭრო საკითხებზე მრჩეველ — მინისტრის ოლივიე ლუის, „სბს“ ფირმის კომერციული დირექტორის მიშელ მელიავასა და ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების წარმომადგენლების შეხვედრებისა და საუბრების დროს. საფრანგეთის სამთავრობო დელეგაცია, რომელიც წინა დღეს ჩამოვიდა საქართველოში, ხუთი დღის განმავლობაში განიხილავს და შეისწავლის ორ ქვეყანას შორის ურთიერთკავშირის გაფართოებისა და გაღრმავების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ნავარაუდევია მრავალი შეხვედრა და საუბარი რესპუბლიკის საზოგადოებრიობასთან.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის პრემიერ—მინისტრის მრჩეველმა როჟე გოდინმა აღნიშნა — ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზანია საქართველოსთან მტკიცე და პირდაპირი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება. ამას ხელი უნდა შეუწყოს ამჟამად შექმნილმა საქართველო-საფრანგეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაციამ.

●

ცნობილი გახდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ გამოცხადებული და გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დახურული კონკურსის გამარჯვებულთა სახელები. ამ შემოქმედებით ასპარეზობაზე დაშვებული იყო იაკობ გოგებაშვილის სიტყვებზე დაწერილი ან „დედა ენის“ უკვდავი ავტორისადმი მიძღვნილი ბავშვო სიმღერები.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემიით დაჯილდოვდა კომპოზიტორი შოთა მილორავა სიმღერისათვის „მოწვევა სწავლაზე“.

მეორე პრემიები მიენიჭათ კომპოზიტორ ჯემალ ბეგლარიშვილს, გიორგი ლეონიძის ლექსზე „დედა ენა“ შექმნილი სიმღერისათვის; კომპოზიტორ რამაზ ქარუხნიშვილს სიმღერისათვის „ველზე ჩამორბის წკანწკარით“.

ორი მესამე პრემიით დაჯილდოვდნენ კომპოზიტორი გივი ალაზნისპირელი და კომპოზიტორი ლევან თაქთაქიშვილი.

გამარჯვებული სიმღერები აყღერდება ჩვენი ლიტერატურის დიდებისა და სიამაყის — იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავის ზეიმის დღეებში.

●

მეორე „პროფესია“ — ტურისტული შეიძინა ფოთის „დინამოს“ სასწავლო სპორტულმა სანიჩბოსნო ბაზამ. ამ ზაფხულიდან იგი მომსახურებას სთავაზობს როგორც სპორტსმენებს, ისე ყველა იმათ, ვისაც სურს დაისვენოს შავი ზღვის სანაპიროზე.

მსურველებს შეუძლიათ მისწერონ მისამართით: ქ. ფოთი, „დინამოს“ სასწავლო სპორტული სანიჩბოსნო ბაზა. ტელეფონები 5-61-63 და 5-28-60.

●

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე შედგა ახალგაზრდა თბილისელი დრამატურგის დათო ტურაშვილის პიესის „...და ერთ მშვენიერ დღეს“ პრემიერა.

სპექტაკლი, რომელიც ასახავს ქართველი ახალგაზრდების დღევანდელ ცხოვრებას, დადგა რეჟისორმა ლილი ბურბუთაშვილმა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნინო ჩიტაშვილს; მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ზაზა კილასონიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მრავალეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ უთქვამს ჩვენს წინაპარს და სწორედ ამის ღრმა რწმენას აღუდგენია მრავალგზის ავარქმნილი ჩვენი შამული.

დღეს საქართველო საღათას ძილიდან გამოდის და კვლავ იბრუნებს მიძინებულ და სულაც დაკარგულ ეროვნულ თვითშეგნებას.

ამ მძლავრ ეროვნულ მოძრაობაში თითოეულ ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტს ლაშარის გორაზე გადმომდგარი ლუხუმის საბრძოლო მოწოდება ჩაესმის:

„თქვენი რგიგა ახლებო, ხელის
დადება ხმალზედა,
ყორნები ლეშით ძღებიან,
მამების ნაომარზედა“.

და აი ბატონო ზვიად, ბატონო ირაკლი, ბატონო გიორგი, ბატონო ნოდარ, ბატონო აკაკი, ბატონო თემურ, ბატონებო, ჩვენო საყვარელო თანამემამულენო! თქვენი სახით სწორედ ეს ახლები ხართ გამოსული დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე და მთელი თქვენი ტიტანური ძალისხმევა მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ.

არ შეიძლება დიდი შეშფოთებით და გულისტკივილით არ აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ბობოქარ ტალღად აზვირთებულ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ახლა ბზარი შეეპარა.

ჩვენ სულაც არ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ სხვადასხვა პარტიების და საზოგადოებების პოლიტიკური პლატფორმები და პროგრამები სრულად ემთხვეოდეს ერთმანეთს და მათ შორის აზრთა პლურალიზმი არ უნდა არსებობდეს, მაგრამ მტკიცედ გვწამს და გვჯერა, რომ ყველა მათგანის მიზანი საერთო უნდა იყოს: საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

ამ საერთო მიზანმა უნდა გააერთიანოს ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოება; ამ საერთო მიზნის წმიდათაწმიდა საკურთხეველზე უნდა მივიტანოთ ყველა პირადი ამბიცია და ინტერესი.

ახლა ჩვენი უპირველესი და გადაუდებელი ამოცანაა „უნიმოდ ვინ იმღერეთა“-ს დამღუპველი ვირუსისაგან ჩვენი ფსიქიკის განთავისუფლება.

დღეს ქართველი ერი და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები გულდამძიმებულნი ვართ და შიშის ჭია გვიღრღნის გულს. ნუთუ ყველაფერი ის, რაც აქამდე დიდის რუდუნებით, ტანჯვა-ვაებით მოგიტანიათ, უნდა დაინგრეს? ნუთუ ბზარი უფსკრულად უნდა გადაიქცეს? ნუთუ არ არის საშველი?

საშველი არის!

მამულიშვილებო! ქართველი ერი თქვენ ჩვენი მომავლის იმედად მიგიჩნევთ, მან იწამა თქვენი, იგი თქვენ შემოგცქერით და მზადაა თქვენთან ერთად იბრძოლოს იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჰქვია.

მაშ დაირაზმეთ, შეიკარით ერთ მუშტად და გაუძეხით ერს ისეთივე შემართებით, როგორც აქამდე. გვერდზე გადადეთ პატარ-პატარა გაუგებრობანი, წყენანი და დაუმორჩილეთ თქვენი შემართება დიად საქმეს.

თქვენ დღეს სხვა გზა და უფლება არა გაქვთ. დავანებოთ ურთიერთქილიკს თავი, გამოვაცხადოთ სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, შერიგების, ერთადბრძოლის, ურთიერთგატანის დღე, შევუნდოთ ერთმანეთს თუ კი რამ ხიჯი გვაქვს გულში. საერთო საქმის საკეთილდღეოდ ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები და გვერწმუნეთ, რომ თქვენთან ერთად იქნება ერი და ბერი, სრულიად საქართველო. მაშ შერიგება და თანადგომა!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

კ. ბვაზავა,
საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სახლის განყოფილების გამგე.

ნ. გოდერძიშვილი,
დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობის საორგანიზაციო კომისიის განცხადება

რეგიონულ ორგანიზაციებს და პირველად ჯგუფებს შევახსენებთ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობის დელეგატების ასარჩევად კრების (კონფერენციის) ჩატარების თარიღი საორგანიზაციო კომისიაში უნდა წარმოადგინონ ამა წლის 17 ივნისამდე.

კრების (კონფერენციის) ჩატარების ბოლო ვადაა 21 ივნისი.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ყაზბეგის ქ. № 17, ტელეფონი: 29-21-58, 29-32-84.

ყურადღება!

საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია აცხადებს ჰემოფილიით დაავადებულთ, რომ სოციალური და ჯანდაცვის პრობლემების შემდგომი გადაწყვეტის მიზნით დასახულია გაფართოებულ ღონისძიებათა ჩატარება.

აუცილებელი ინფორმაციის მიღებისათვის ა. წ. 1 ივლისიდან 31 ივლისამდე ასოციაცია იწვევს პაციენტებს სპეციალური ანკეტების შესავსებად. გთხოვთ თან იქონიოთ პასპორტი და ორი ფოტოსურათი ზომით 3X4.

ჩვენი მისამართია: **თბილისი-86, ქავთარაძის ქ. № 23-ა, სახსლის გადახსნის რესპუბლიკური სადგური, ოთ. 322, ტელ. 31-90-02; მიღება ყოველდღე 3 საათიდან 6 საათამდე. შაბათ-კვირის გარდა.**

განცხადება

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ისტორიის სექცია იწვევს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას და პირს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხილვაში.

განხილვა მოეწყობა 1990 წლის 14 ივნისს, ხუთშაბათს, 15 საათზე საზოგადოება „ცოდნის“ ცენტრალური ლექტორიუმის დიდ დარბაზში — თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, 47.

მომხსენებელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი **გურამ ყორანაშვილი.**

ფარსულის ფურცლები

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა

ფერილი მეოთხე

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა შექმნის მომენტში საერთაშორისო ვითარება უკიდურესად რთული და დაძაბული იყო. მსოფლიო ომი, მართალია, დამთავრდა, მაგრამ სახელმწიფოთა ბედ-იღბალი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. საქართველოს ჩრდილოეთით მძვინვარებდა სამოქალაქო ომი. რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე იქმნებოდა ახალ-ახალი სახელმწიფოები. საბჭოთა მთავრობას ბრძოლა უხდებოდა მეფის არმიის წინააღმდეგ. მის ტერიტორიაზე შეჭრილი იყვნენ აგრეთვე ანტანტის სახელმწიფოთა ჯარები.

საქართველოს მთავრობამ თავისი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. იგი შეეცადა პირველ რიგში აზერბაიჯანთან და სომხეთთან საზღვრების საკითხი მოეგვარებინა და წამოაყენა წინადადება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის მოწვევის შესახებ. სომხეთის რესპუბლიკის მმართველმა პარტიამ (დაშნაკციუტუნმა) ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა. დაშნაკები „დიდი სომხეთის“ იდეით იყვნენ გატაცებული. ამიერკავკასიიდან გერმანელებისა და თურქების სამხედრო ნაწილების გაყვანის შემდეგ მათ დაიწყეს ბრძოლა სომხეთის სახელმწიფო საზღვრების გაფართოებისათვის. იმედი ჰქონდათ ინგლისის მხარდაჭერისა. სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო ნაწილები 1918 წლის 13 დეკემბერს შეიჭრნენ ბორჩალოს მაზრაში და იგი დაიკავეს. სომხეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას ულტიმატუმით მოსთხოვა დაეცალა ახალქალაქის მაზრა მთლიანად და ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამამდე. დაშნაკებს შორსგამიზნული გეგმები ჰქონდათ: ისინი თბილისისა და ბათუმის დაპატრონებასაც ამზადებდნენ. ამის თაობაზე ფარულად მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ ანტანტის ქვეყნების მესვეურებთან.

კუთვნილი მიწა-წყლის დასაცავად აღსდგა მთელი ქართველი მოსახლეობა. თბილისში შედგა მოხალისეთა რაზმები, ბორჩალოსაკენ დაიძრნენ ახლადფორმირებული რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილები. დეკემბრის შუა რიცხვებში გადამწყვეტი ბრძოლები მოხდა შულავერთან. სომხეთის არმია დამარცხდა და უკან დაიხია. საქართველოს მხედრობას გზა გაეხსნა სომხეთისაკენ, მაგრამ სამხედრო ოპერაციები 31 დეკემბერს შეწყდა. სომხეთის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული პირობები. საქმეში ჩაერია ანტანტის წარმომადგენლობა, რომელმაც ბორჩალოს მაზრის სადაო ნაწილი (ლორეს რაიონი) ნეიტრალურ ზონად გამოაცხადა და შიგ თავისი ნაწილები შეიყვანა.

II ინტერნაციონალის დელეგაცია.

საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ყოველთვის მტრული თვალით უყურებდა. კომუნისტურ იდეოლოგიას ამ დროს გეზი მსოფლიო რევოლუციაზე ჰქონდა აღებული. იგი თვლიდა, რომ ყოველგვარი სეპარატიზმი ასუსტებდა რევოლუციის ძალებს და წყალს ასხამდა კონტრრევოლუციის წისქვილზე. ამიტომაც 1918-1919 წლებში საბჭოთა რუსეთი არ სცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ეძებდა ხელსაყრელ შესაძლებლობას მისი დამხობისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ ასევე მტრული პოზიცია ეკავა ქართველ კომუნისტებს. ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი, 1917 წლის მიწურულში თბილისში ნავარაუდევი ჯანყების ჩაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და იქ რაზმავდა ძალებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას საფრთხე ემუქრებოდა არამარტო საბჭოთა რუსეთის მხრიდან. საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობდა არც მეფის გენერალი დენიკინი, რომელიც 1918-1919 წლებში რუსეთის სამხრეთში მბრძანებლობდა. „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ მონარქისტული იდეის მოტრფიალე დენიკინს საქართველო მიაჩნდა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად. დენიკინს ემორჩილებოდა ე. წ. „უუბანის რესპუბლიკის“ მთავრობა, რომელიც თავის მხრივ პრეტენზიას აცხადებდა სოჭისა და გაგრის რაიონებზე. ამ ზონაში საქართველოს რეგულარულ არმიას დენიკინის ჯარებთან ბრძოლაც მოუხდა. ქართულმა სამხედრო ნაწილებმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით დენიკინელთა ჯარები სოჭის იქით გადარეკეს.

1919 წ. 16 იანვარს დაიდო საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობათა სამოკავშირეო ხელშეკრულება, ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა დახმარებოდა მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. სასაზღვრო საკითხები ურთიერთშეთანხმებითა და არბიტრაჟით უნდა მოგვარებულიყო. სომხეთს წინადადება მიეცა შეერთებოდა ამ შეთანხმებას, რომელიც თავის მხრივ პარიზის საზავო კონფერენციას უნდა დაედასტურებინა.

პარიზის საზავო კონფერენცია მოწოდებული იყო განესაზღვრა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება და ომის მონაწილე სახელმწიფოთა მომავალი ბედ-იღბალი.

დამოუკიდებელი საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოზიციას, რომელსაც ამ კონფერენციაზე აირჩევდნენ ევროპის ქვეყნები.

1918 წლის ბოლოს საქართველოს დელეგაცია კ. ჩხეიძის მეთაურობით ბერლინიდან პარიზში ჩავიდა. პარიზის კონფერენციის მიმართ საქართველოს სათხოვარი პუნქტები ჩამოაყალიბა ზ. ავალიშვილმა. ქართულ დელეგაციას არაერთგზისი შეხვედრა ჰქონდა კონფერენციის მონაწილე ქვეყნებთან. დელეგაციას ყველგან უწყობდნენ თავაზიან მიღებას, დაპირებებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ რეალურად საქმე წინ ვერ მიდიოდა: საქმე ის იყო, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლები, პირველ რიგში, ანგარიშს უწევდნენ კოლჩაკს და დენიკინს, რომლებიც შთავარ იმედად და დასაყრდენ ძალად მიაჩნდათ რუსეთში ძველი რეჟიმის აღდგენისათვის ბრძოლაში. კოლჩაკი და დენიკინი კი, როგორც ვთქვთ, „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეებით მოქმედებდნენ. ევროპის დიდ სახელმწიფოებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს ამიერკავკასიისა და საქართველოს მიმართ საკუთარი, ურთიერთსაპირისპირო ინტერესებიც ჰქონდათ. თითოეულ მათგანს სურდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და რესურსებით მდიდარი ეს მხარე დაესაკუთრებინა. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში ამ დროს დიდად პოპულარული იყო ამიერკავკასიაზე „მანდატის“ სისტემა, რაც არსებითად მის კოლონიად გადაქცევას მოასწავებდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის იურიდიულ აღიარებაში დაბრკოლება ისიც იყო, რომ თვით ამ რესპუბლიკებმა ერთმანეთს შორის საერთო ენა ვერ გამონახეს. ხშირი კონფლიქტი, რაც უპირატესად სასაზღვრო საკითხების გამო ხდებოდა, თავის გამოხატულებას პოულობდა იმ საპროტესტო მემორანდუმებში, რომელსაც რესპუბლიკათა მთავრობები ცალ-ცალკე უდგენდნენ საზავო კონფერენციას. მეჯალეთად, დაშნაკური პარტიის მითითებით შედგენილი სომხეთის რუკა უპრეცედენტო იყო თავისი პრეტენზიულობით. ამ რუკით სომხეთის საზღვრებში საქართველოს ნახევარზე მეტი იყო მოქცეული. ევროპელი დიპლომატები ამის გამო ხელჩაქნევით ამბობდნენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას მომავალი არ უწერიაო.

1919 წლის მაისში ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაეყვანა თავისი ჯარები საქართველოდან (ბათუმის გამოკლებით). პარიზში შეთანხმების საფუძველზე ინგლისის ადგილი საქართველოში უნდა დაეკავებინა იტალიას. იტალიის ხელისუფლება ამ დროს დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით, განსაკუთრებით საქართველოს ქვანახშირით. ადგილობრივი პირობების შესასწავლად იტალიიდან საქართველოში ჩამო-

(დასასრული მე-6 გვ.).

„სახალხო გვარდია“ ინგლისელ ჯარისკაცებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველის გულის გაწყალება

ანუ „კათოლიკოსის“ თუ „კათალიკოსის“ გამო

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ვერც წარმომედგინა, თუ სრულიად არასაკმათო საკითხი, ჩემი აზრით, რასაკვირველია, საკამათოდ გახდებოდა და „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ჩემს პატარა წერილს „კათოლიკოსი“ თუ „კათალიკოსი“ ოპონენტი გამოუჩნდებოდა. გამოუჩნდა და თანაც სამღვდელო პირი, დეკანოზი!

თუ სამსახურის ადგილის მიხედვით ვიმსჯელებთ, დეკანოზს, რაღა თქმა უნდა, უფრო უნდა ემარჯვებოდეს საეკლესიო საკითხებში გარკვევა, ვიდრე სრულიად სხვა დარგში მომუშავე საერო პირს, როგორადაც მე ჩემი თავი მიმაჩნია და ამიტომაც წერილი დიდი ინტერესითა და ყურადღებით წავიკითხე.

დეკანოზ პავლე ბერიშვილს საგანგებო ყურადღება მიუქცევია სადავოდ ქცეული წერილის ტერიტორიული სიმცირისათვის და თავიდანვე არაორაზროვნად ასკვნის: ეს მცირე ფორმა „ერთგვარი მინიშნებაა ავტორის კატეგორიულობასა და დაუეჭვებლობაზე, რომ სწორი ფორმაა „კათალიკოსი“ და არა „კათოლიკოსი“.

ცოტა უფრო ზემოთ ოპონენტი თავმდაბლობას იჩენს და გულახდილად აღიარებს, „ბრძოლა“ დაწყებამდე მგონია წაგებული, რადგანაც პროფესიონალი არ გახლავართ და ჩემს სწორ მოსაზრებას ვაითუ შესაფერისი დასაბუთება ვერ გამოვუძებნოო.

გასაკვირია სწორედ: რაშიაც თავი არ გეიმედება და საკუთარი აზრის დასაბუთების ღონე არ მოგდევს, საქმეში რისთვის ერევი! მოწინააღმდეგე მხარე, ვინც შენ ვითომც შეცდომებში დაიჭირე, შენს პროფესიონალობას თუ არაპროფესიონალობას ხომ არავითარ ანგარიშს არ გაუწევს და ისე მოგექცევა, როგორც შენი არგუმენტაცია უკარნახებს!

ამ გარეშე საკითხზე მსჯელობა იქნებ აქვე დამემთავრებინა და წყლის სანაყავად ძირითად პრობლემაზე გადავსულიყავი, პატივცემული პავლე ბერიშვილი ზემოთ ნათქვამს რომ სჯერდებოდეს და უფრო შორს არ მიდიოდეს.

ის ბრძანებს:

„თავი არ მეიმედება და „ბრძოლა“ დაწყებამდე მგონია წაგებული, მაგრამ განა იმიტომ, რომ ვცდები და მართალი არა ვარ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ უჩინარი, პატარა, არაკალმოსანი კაცი გახლავართ და ვერც უნდა ვბეღავდე „შებმას“... ავტორიტეტთან, მით უფრო, რომ კარგად ვიცი — ჩვენში ჭეშმარიტება კამათში არ იბადება, „ჩვენებური ჭეშმარიტება“ თვითნაბადი როდია, იგი ავტორიტეტთან შენადნობი ოქროა“.

მე არ ვიცი, რას და ვის უჩივის უფალი პავლე. მიუხედავად იმისა, რომ, მისივე ჩოწმობით, „უჩინარი, პატარა, არაკალმოსანი კაცი“ ბრძანდება, „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქცია არც კი შეყოყმანებულა, მის საპოლემიკო წერილს „კათალიკოსი“ თუ „კათოლიკოსი“ თავაზიანად დაუთმო ადგილი გაზეთის ფურცლებზე (31 მაისი, 1990 წ.). რედაქცია მეტს ვეღარაფერს გააკეთებს, ვეღარ დაეხმარება. მისი საქმე მასალის გამოქვეყნებაა, რაშიაც უფალ პავლეს, როგორც ვხედავთ, ხელი არ შეშლია. დანარჩენი საქმე თვით მასალამ უნდა გააკეთოს.

მაგრამ ავტორს ეჭვი ეპარება: ცუდი დროა, ვაითუ ტრიბუნა გაკრიტიკებულ მხარესაც მისცენ და მისი არგუმენტებისაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩეს? მაშინ ის იტყვის: ა, ბატონო, ხომ ვამბობდი, ახლა ჩემი წინასწარმეტყველება, ისევ „ავტორიტეტმა“ გაიმარჯვა, რადგანაც ჩვენში ჭეშმარიტება კამათში არ იბადება, „ჩვენებური ჭეშმარიტება“ თვითნაბადი როდია, იგი ავტორიტეტთან შენადნობი ოქროა“, ანუ, სხვანაირად და უფრო სწორად რომ ვთქვათ, სულაც არ არის ოქრო, ოქროს სუროგატია, რომელსაც ბრმა და ყრუ ქვეყანაში მავანი და მავანი „ავტორიტეტები“ ოქროდ, ჭეშმარიტებად ასაღებენ, საზოგადოება კი ზის გულხელდაკრეფილი და უსინდისო ყალბისმქმნელობას დამშვიდებული სინდისით უყურებს.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი და პირზე ვერ დავადგები, იგულისხმა თუ არა ეს შორს მიმავალი დასკვნები ავტორმა, განიზრახა თუ არა საქვეყნოდ გამოეჭენებინა უკლებლივ ყველა „ავტორიტეტი“, ბრალიანი და უბრალო, მაგრამ ის ისე გაიტაცა „ავტორიტეტების“ წინააღმდეგ ბრძოლამ, რომ ვეღარ შეამჩნია, ფეხქვეშ ნიადაგი როგორ გამოეცალა.

რით აიხსნება „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილის ე. წ. მცირე ფორმა? მხოლოდ იმით, რომ მე დავწერე ზუსტად იმდენი, რამდენიც ჩემი მოსაზრების დამტკიცებას სჭირდებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, ასე რომ „მცირე ფორმა“ მკითხველს არც ამას ეუბნება და არც იმას, როგორც ოპონენტს ჰგონია. რასაც ეუბნება, შავით თეთრზე სწერია ტექსტში!

წერილს ერთობ შეზღუდული და ლაკონური დანიშნულება აქვს: გაკვრით, თვალის ერთი გადავლებით განიხილოს ქართული საისტორიო მწერლობის ძირითადი ნაშრომები, რომლებიც თავმოყრილია „ქართლის ცხოვრებაში“ და გამოიკვლიოს, ტრადიციულად რომელი ფორმა იხმარებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის, საჭეთმპყრობლის წოდების აღმნიშვნელად — „კათალიკოსი“ თუ „კათოლიკოსი“.

ბეჭდვითი წესით გამოცემული მასალების გაჩხრეკვით აღმოჩნდა (ამას ოპონენტი სადავოდ არ თვლის, კრიტიკის ობიექტის კეთილსინდისიერებას ენდობა, რა სთვისაც მადლობას მოვახსენებ), რომ დასტურდება მხოლოდ „კათალიკოსი“, მისი ახლახან ფოლკლორულად გავრცელებული ორეული „კათოლიკოსი“ არც ერთ ჩვენს მიერ განხილულ ისტორიულ წყაროში არ გვხვდება.

სხვათა შორის, ამის გამორკვევას, არავითარი საგანგებო კომპეტენცია არ სჭირდება, რისი უქონლობის გამო აგრე სწუხს უფალი პავლე. მთავარია, არ დაიზარო და აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ტომები თავიდან ბოლომდე მოთმინებით წაიკითხო. თუ მართლაც არ დაიზარებ და ამ გულმოდგინებას გამოიჩენ, ვგონებ აღარ დაგჭირდეს მარჩიელობა, ბერძნული წარმომავლობის საეკლესიო ტერმინი „კათალიკოსი“ იმთავითვე ამ ფორმით შემოვიდა და დამკვიდრდა საქართველოში, თუ რომელიმე სხვა ენის, მათ შორის სომხურის, გავლენით მოიკიდა ფეხი.

თუ ეს მართლა ასე მოხდა, როგორც უფალი პავლე საკუთარ ინტუიციაზე და არა რომელიმე, თუნდაც ერთ ისტორიულ დოკუმენტზე დაყრდნობით გვიმტკიცებს, მაშინ მანამდე არა „კათალიკოსი“, არამედ იმავე შინაარსის აღმნიშვნელი სხვა ფორმა, ვთქვათ, „კათოლიკოსი“ უნდა არსებულიყო. მაგრამ სადა გვაქვს ეს „სხვა ფორმა?“ რომელ უძველეს ისტორიულ წყაროში? თუ ამ კითხვებს ამომწურავად და დამარწმუნებლად ვერ ვუპასუხებთ, მაშინ რაღა ფასი ექნება დეკანოზ პავლე ბერიშვილის საყველპურო მსჯელობას?

იმისათვის, რომ ნამდვილი კამათის საგანი შეცვლას კამათის პროცესში. შეუძლებელია, იგი უფალმა პავლემაც არ იცოდეს. ამიტომაც მიკვირს, რატომ იყენებს ამ სილოგისტურ ტრიუკს.

ჩვენს პატივცემულ მოძღვარს ამ სტრიქონების ავტორის ხელიდან გამოსულ წიგნებში ოდესმე თვალი რომ ჩაეკრა („მძიმე ჯვარი“, „ვნების კვირა“, „ბუხენვალდის სამრეკლო“, „ადამიანის მორჩილი ზღვა“, „ევროპაში და ევროპის გარშემო“), ყოველ ნაბიჯზე ნახავდა, რომ „კათოლიციზმი“, „კათოლიკე“, „კათოლიკური“, „კათოლიკე ეკლესია“ და სხვ. ავტორისათვის ახალი ხილი არ არის. მოხდა ისე, გადაუდებელმა საჭიროებამ მოითხოვა და მე მათი მნიშვნელობა ლექსიკონებიდან არ მისწავლია, არც ენციკლოპედიაში ამომიკითხავს.

ყველა ამ სიტყვა-ტერმინთან დაკავშირებით საკითხ სხვაგვარად დგება: არის სადმე ნახსნები უფალ პავლეს მიერ განსახილველად არჩეულ ჩემს წერილში ან „კათოლიციზმი“, ან „კათოლიკე“, ან „კათოლიკური“ ან „კათოლიკე ეკლესია?“ არ არის! მაშ, რისთვის დასჭირდა ამ სიტყვა-ტერმინების ლექსიკონიდან გამოხმობა და წერილის ავტორისათვის მათი მნიშვნელობის ახსნა?

აი, რისთვის: თუ იწერება და გამოითქმის „კათოლიკე“, მაშასადამე, სავალდებულოა ვთქვათ და ვწერეთ „კათოლიკოსი“, მიუხედავად იმისა, თუ რას გვეუბნება ქართული სამოციქულო ეკლესიის ათასხუთასწლოვანი ტრადიცია, ქართული საისტორიო მწერლობა და ბოლოს ბუნება თვით ქართული ენის, რომელმაც უცხო სიტყვა გადმოაქართულა, ისევე როგორც სინდისი, ოჯახი, ქალაქი და თავისი ლექსიკური ფონდის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად აქცია.

კათოლიკე საყოველთაოაო, განმარტავს საბა თავის ლექსიკონშიო.

„აკი მოგახსენეთ, სხვაგვარად არც მოველოდი! — გვიზიარებს თავის აღტაცებას უფალი პავლე. — თუმცა გულს მაინც მომეფონა, რამეთუ კარგია, როცა დიდი საბა დასტურს იძლევა!“

რამ მოგვიფონა გული? რამ გაგვახარა? რის „დასტურს იძლევა“ დიდი საბა? ნუთუ ის გარემოება, რომ ბერძნული „კათოლიკე“ ქართულად „საყოველთაოს“ ნიშნავს, იმის საბაბს იძლევა, ქართულის მიერ შესისხლხორცებული „კათალიკოსის“ ნაცვლად „კათოლიკოსი“ ვიხმაროთ? არა მგონია, „სიტყვის კონაში“ ეს სადმე ეწეროს, მით უფრო იმ განმარტებაში, რომელიც უფალ პავლეს თავისი გამარჯვების ნიშნად მოჰყავს!

ღიმილის მომგვრელია უფალ პავლეს სერიოზული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მე, არც მეტი, არც ნაკლები, თითქმის ჯვაროსნული ლაშქრობა მაქვს გამოცხადებული ბგერა ო-ს წინააღმდეგ. არა და, „ო“ მეტისმეტად კეთილშობილი ბგერა ყოფილა. იქნებ ზოგმა არც დაიჯეროს. აი, როგორ წერია ეს მის საპოლემიკო წერილში: „პატივცემულ ავტორს, ეტყობა, აღიზიანებს ბგერა „ო“ — ამაყი, ზვიადი და დიდებული ბგერა და არა პრანჭია და მოყელყელავე ქარი... ავტორის ყურია „დამნაშავე“ და არა დინჯი, არისტოკრატიული „ო“.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ პირადად მე რაც შემეხება, მსგავსი რამ არც არსად წამიკითხავს და არც გამიგონია. თურმე ენაში არსებობს ამაყი, ზვიადი, დინჯი, დიდებული ბგერები და მათი შესაბამისი ასო-ნიშნები. რაკიღა ასეა, ცხადია, არსებობენ სხვა ბგერები და ასო-ნიშნებიც, რომელთაც საპირისპირო თვისებები ახასიათებთ, მაგალითად, პრანჭია და „ქარივით მოყელყელავენი“. ეგ კი არა, მათ შორის კლასობრივი განსხვავებაც კი ყოფილა, ზოგი არისტოკრატიულია, ზოგი მდაბიური და ა. შ.

სადამდე უნდა მისდიო? ვისა აქვს ამის დრო და მოთმინება!

ცალკე განხილვას მოითხოვს ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ კათოლიკური სარწმუნოება, რასაც სადავოდ ქცეულ საგანთან არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვს, თავის სახელწოდებაშივე შეიცავს, გულისხმობს ამბიციურობას, საყოველთაობას, ყოვლისმომცველობას.

შეიცავს, გულისხმობს და მეტსაც შვრება, მაგრამ „კათალიკოსი“ თუ „კათოლიკოსი“ აქ რა შუაშია?

რაკი სიტყვამ მოიტანა, ჩვენი ოპონენტის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ბარემ აქვე დავამატებ, რომ კათოლიკური ეკლესია მსოფლიო ეკლესიაა, რომლის იერარქიული კიბის სათავეშიაც ცისქვეშეთში ღმერთის მოადგილე რომის პაპი დგას, ხოლო, ამის საპირისპიროდ, მართლმადიდებლური ეკლესია ეროვნული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, აუტოკეფალური ეკლესიების ჯამია, რომელთაგან თითოეულს თავ-თავიანთი უზენაესი საჭეთმპყრობელი განაგებს ეროვნული კათალიკოს-პატრიარქის სახით. იქნებ მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაც გაგვეხსენებინა, 431 წელს ქ. ეფესოში რომ ჩატარდა? ამ კრებას ვენდობიო, სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და ორიოდე სხვა ლექსიკონი გადაფურცლა და რადგანაც იქ არც „კათალიკოსი“ აღმოჩნდა და არც „კათოლიკოსი“, რაიც კამათის ერთადერთი საგანია, მოწინააღმდეგის გასამტყუნებლად და კუთხეში მისამწყვდევად სწორედ ეს საგანი, კამათის საგანი შეცვალა და მსჯელობა სხვა სიბრტყეზე, სხვა ტერმინზე გადაიტანა.

ჩვენ ვიცით, რა ეწოდება კამათის საგნის შეცვლას კამათის პროცესში. შეუძლებელია, იგი უფალმა პავლემაც არ იცოდეს. ამიტომაც მიკვირს, რატომ იყენებს ამ სილოგისტურ ტრიუკს.

ჩვენს პატივცემულ მოძღვარს ამ სტრიქონების ავტორის ხელიდან გამოსულ წიგნებში ოდესმე თვალი რომ ჩაეკრა („მძიმე ჯვარი“, „ვნების კვირა“, „ბუხენვალდის სამრეკლო“, „ადამიანის მორჩილი ზღვა“, „ევროპაში და ევროპის გარშემო“), ყოველ ნაბიჯზე ნახავდა, რომ „კათოლიციზმი“, „კათოლიკე“, „კათოლიკური“, „კათოლიკე ეკლესია“ და სხვ. ავტორისათვის ახალი ხილი არ არის. მოხდა ისე, გადაუდებელმა საჭიროებამ მოითხოვა და მე მათი მნიშვნელობა ლექსიკონებიდან არ მისწავლია, არც ენციკლოპედიაში ამომიკითხავს.

ყველა ამ სიტყვა-ტერმინთან დაკავშირებით საკითხ სხვაგვარად დგება: არის სადმე ნახსნები უფალ პავლეს მიერ განსახილველად არჩეულ ჩემს წერილში ან „კათოლიციზმი“, ან „კათოლიკე“, ან „კათოლიკური“ ან „კათოლიკე ეკლესია?“ არ არის! მაშ, რისთვის დასჭირდა ამ სიტყვა-ტერმინების ლექსიკონიდან გამოხმობა და წერილის ავტორისათვის მათი მნიშვნელობის ახსნა?

აი, რისთვის: თუ იწერება და გამოითქმის „კათოლიკე“, მაშასადამე, სავალდებულოა ვთქვათ და ვწერეთ „კათოლიკოსი“, მიუხედავად იმისა, თუ რას გვეუბნება ქართული სამოციქულო ეკლესიის ათასხუთასწლოვანი ტრადიცია, ქართული საისტორიო მწერლობა და ბოლოს ბუნება თვით ქართული ენის, რომელმაც უცხო სიტყვა გადმოაქართულა, ისევე როგორც სინდისი, ოჯახი, ქალაქი და თავისი ლექსიკური ფონდის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად აქცია.

კათოლიკე საყოველთაოაო, განმარტავს საბა თავის ლექსიკონშიო.

„აკი მოგახსენეთ, სხვაგვარად არც მოველოდი! — გვიზიარებს თავის აღტაცებას უფალი პავლე. — თუმცა გულს მაინც მომეფონა, რამეთუ კარგია, როცა დიდი საბა დასტურს იძლევა!“

რამ მოგვიფონა გული? რამ გაგვახარა? რის „დასტურს იძლევა“ დიდი საბა? ნუთუ ის გარემოება, რომ ბერძნული „კათოლიკე“ ქართულად „საყოველთაოს“ ნიშნავს, იმის საბაბს იძლევა, ქართულის მიერ შესისხლხორცებული „კათალიკოსის“ ნაცვლად „კათოლიკოსი“ ვიხმაროთ? არა მგონია, „სიტყვის კონაში“ ეს სადმე ეწეროს, მით უფრო იმ განმარტებაში, რომელიც უფალ პავლეს თავისი გამარჯვების ნიშნად მოჰყავს!

ღიმილის მომგვრელია უფალ პავლეს სერიოზული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მე, არც მეტი, არც ნაკლები, თითქმის ჯვაროსნული ლაშქრობა მაქვს გამოცხადებული ბგერა ო-ს წინააღმდეგ. არა და, „ო“ მეტისმეტად კეთილშობილი ბგერა ყოფილა. იქნებ ზოგმა არც დაიჯეროს. აი, როგორ წერია ეს მის საპოლემიკო წერილში: „პატივცემულ ავტორს, ეტყობა, აღიზიანებს ბგერა „ო“ — ამაყი, ზვიადი და დიდებული ბგერა და არა პრანჭია და მოყელყელავე ქარი... ავტორის ყურია „დამნაშავე“ და არა დინჯი, არისტოკრატიული „ო“.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ პირადად მე რაც შემეხება, მსგავსი რამ არც არსად წამიკითხავს და არც გამიგონია. თურმე ენაში არსებობს ამაყი, ზვიადი, დინჯი, დიდებული ბგერები და მათი შესაბამისი ასო-ნიშნები. რაკიღა ასეა, ცხადია, არსებობენ სხვა ბგერები და ასო-ნიშნებიც, რომელთაც საპირისპირო თვისებები ახასიათებთ, მაგალითად, პრანჭია და „ქარივით მოყელყელავენი“. ეგ კი არა, მათ შორის კლასობრივი განსხვავებაც კი ყოფილა, ზოგი არისტოკრატიულია, ზოგი მდაბიური და ა. შ.

სადამდე უნდა მისდიო? ვისა აქვს ამის დრო და მოთმინება!

ცალკე განხილვას მოითხოვს ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ კათოლიკური სარწმუნოება, რასაც სადავოდ ქცეულ საგანთან არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვს, თავის სახელწოდებაშივე შეიცავს, გულისხმობს ამბიციურობას, საყოველთაობას, ყოვლისმომცველობას.

შეიცავს, გულისხმობს და მეტსაც შვრება, მაგრამ „კათალიკოსი“ თუ „კათოლიკოსი“ აქ რა შუაშია?

რაკი სიტყვამ მოიტანა, ჩვენი ოპონენტის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ბარემ აქვე დავამატებ, რომ კათოლიკური ეკლესია მსოფლიო ეკლესიაა, რომლის იერარქიული კიბის სათავეშიაც ცისქვეშეთში ღმერთის მოადგილე რომის პაპი დგას, ხოლო, ამის საპირისპიროდ, მართლმადიდებლური ეკლესია ეროვნული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, აუტოკეფალური ეკლესიების ჯამია, რომელთაგან თითოეულს თავ-თავიანთი უზენაესი საჭეთმპყრობელი განაგებს ეროვნული კათალიკოს-პატრიარქის სახით. იქნებ მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაც გაგვეხსენებინა, 431 წელს ქ. ეფესოში რომ ჩატარდა? ამ კრებ-

ბოლოს

ბოლოდან

წერილი დამთავრებული მქონდა და „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციაში გასაგზავნად ვამზადებდი, როდესაც „ლიტერატურული საქართველოს“ 1 ივნისის ნომერი მივიღე, რომელშიაც დაბეჭდილია ქალბატონ თამარ მესხის წერილი „კათოლიკოსი“.

ქალბატონ თამარ მესხს, ისევე როგორც დეკანოზ პავლე ბერიშვილს, ჩემთან ერთად მიაჩნია, რომ „როგორც ქართულ ხალხურ ტრადიციაში, ასევე ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება ტერმინი „კათალიკოსი“ და არა „კათოლიკოსი“... მაგრამ „კათოლიკოსი“ მაინც არ არის „გადაპრანჭული ნეოლოგიზმი“ და არც „უხეში შეცდომაო“.

ავტორი შემდეგ განმარტავს ტერმინის წარმომავლობას, დროთა განმავლობაში მის სახეცვლილებას და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საეკლესიო რიტუალის აღწერას, რა როგორ ხდებოდა „კათოლიკონში“ — მთავარ ტაძარში. საქართველოსათვის, მაგალითად, ასეთი ტაძარია სვეტიცხოველი.

ვის რა აქვს ამის საწინააღმდეგო? ყველაფერი თავის ადგილზეა. სიტყვა ეხება მხოლოდ და მხოლოდ „კათალიკოსს“, ერთ-ერთ უცხოური წარმოშობის სიტყვა-ტერმინს, რომელიც ქართულმა მეტყველებამ ამ სახით შეითვისა და შეისისხლხორცა.

ქალბატონი თამარ მესხი წერილში იხსენიებს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ძველ ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც, ალბათ, ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და ჯერ არავის გამოუქვეყნებია. მითითებულია საფონდო ნომრები. ხელნაწერებში ორივე ფორმა იხმარება, „კათალიკოსიც“ და „კათოლიკოსიცო“...

ეს უკვე სიახლეა სადავო საკითხის განხილვის საქმეში, რისთვისაც ქალბატონი თამარ მესხი მადლობის ღირსია, მაგრამ, მიუხედავად იმ სამად სამი „ძველი ხელნაწერისა“, სადაც „კათალიკოსი“ და „კათოლიკოსი“ იხმარება, წინააღმდეგ ქალბატონ თამარ მესხის მოსაზრებისა, რომ არსებობის უფლება ორივე ფორმას ერთნაირად აქვს, უპირატესობას მე მაინც ქართული ხალხური ტრადიციის მიერ აღიარებულ, ენაში ბუნებრივად დამკვიდრებულ, სრულიად გაქართულებულ „კათალიკოსს“ ვანიჭებ.

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული ფასეულობა

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის

განცხადება

მიმდინარე წლის 21 ივნისს 11 საათზე თბილისში, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში (რუთაველის გამზირი № 29), გაიმართება საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენელთა შეხვედრა.

შეხვედრაზე ვიწვევთ ყველა პროფესიული კავშირების და წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომელთა უმთავრესი მუშაობა წარმართულია მშრომელთა უფლებების და ინტერესების დაცვისათვის. შეხვედრას შეუძლიათ აგრეთვე დაესწრონ ყველა დაინტერესებული პიროვნებები.

განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. სახელმწიფო სოციალური დაზღვევა და სსრკ პროფკავშირი.
2. კონსულტაციები შრომითი ხელშეკრულებების 1991 წლისათვის მომზადებაში.
3. თავისუფალი პროფკავშირების ბრძოლა რესპუბლიკაში პენსიების და შრომის ანაზღაურების რეგულირებისათვის.
4. საბჭოთა კავშირის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა.
5. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
6. საქართველოში თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა. დღის წესრიგში შესაძლოა ცვლილებები.

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის

მიმართვა

საქართველოს მშრომელებისადმი

დღეს, როდესაც საქართველოში მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ცენტრი აგრძელებს თავისი გეგმების მიზანდასახულ განხორციელებას, რათა ხელი შეუშალოს იმ პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას, რომელიც მიმართულია ქართველი ერის ნების აღსრულებისათვის. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვითომდა „საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის“ შექმნა და „დამოუკიდებელი დარგობრივი პროფკავშირის“ გამოყოფის პრინციპები.

ეს ყველაფერი მიმართულია საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ და გამიზნულია შრომის ექსპლოატაციის კურსის გაგრძელებისათვის, რომელიც უკვე 69 წელია ასე მძიმედ აწევს მშრომელ ადამიანს. ამ ვითარებას ამძაფრებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის გადასვლა „საბჭოურ“ საბაზრო ეკონომიკაზე, რაც გამოიწვევს მშრომელთა ცხოვრების დონის გაძვირებას და კიდევ უფრო დაქვეითებას.

საქართველოში დღეს არ არსებობს ისეთი ორგანო, რომელიც დაიცავს მშრომელთა უფლებებსა და ინტერესებს. არ არის აგრეთვე ისეთი ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს რესპუბლიკაში მშრომელთა შრომის ანაზღაურებას და პენსიებს, თავი რომ დავანებოთ წარმოება-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების ელემენტარული ნორმების დარღვევებს. გართულებას იწვევს საბჭოთა კავშირის მიერ 1931 წელს მიღებული დისკრიმინაციული კანონები საბჭოთა პროფკავშირების შესახებ, რომელიც აგრეთვე კარგად არის ასახული დღევანდელი „საქართველოს დამოუკიდებელი“ პროფკავშირების კონფედერაციის“ კონცეფციაში.

ჩვენს მიერ 1989 წლის ივნისში, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების და პროფსაბჭოს წინაშე დაყენებული იქნა მოთხოვნები, სადაც ასახული იყო ის გზები, რომელიც დასაბამს მისცემდა საქართველოში ნამდვილი პროფესიული კავშირების შექმნას და სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ-პარტიული პროფკავშირის თვითლიკვიდაციას.

ეს მოთხოვნები იგნორირებულ იქნა. ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია მათ მიერ წაყრუება და დუმილი ამ საპირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 29-30 ივნისს თბილისში გაიმართება საქართველოს პროფკავშირების ყრილობა. ამავე დღეებში საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენლები დაიწყებენ საპროტესტო აქციებს მოთხოვნით:

1. დაუყოვნებლივ გამოეყოს პროფკავშირებს სახელმწიფო სოცდაზღვევა და შეიქმნას მისი ცალკე ინსტიტუტი.

სარგებლობენ რა უკანონოდ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან პროფკავშირები, ქმნიან იმის ილუზიას, თითქოს მათი თანხებიდან ხდებოდეს საგზურების, ბიულეტენების, პენსიების და სხვა დახმარებების გადახდა. სახელმწიფო სოციალური დაზღვევა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელთა ხელფასის ფონდიდან გადარიცხული თანხებით და ისინი არავისგან „დამადლებას“ არ საჭიროებენ.

2. დაუყოვნებლივ გამოეყოს პროფკავშირების „დაკვემდებარებას“ და შეიქმნას ცალკე ორგანიზაციად ტურიზმისა და დასვენების კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს ხელშეკრულებების საფუძველზე.

3. მშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნას ახალი შრომის კანონმდებლობა.

4. გაუქმდეს არსებული შრომის ანაზღაურების ნორმები და ტარიფები და მიეცეთ მშრომელს თავიანთი კუთვნილი ნამუშევარი. დარეგულირდეს რესპუბლიკაში ცხოვრების დონესთან დაკავშირებით ხელფასები და პენსიები. გადაისინჯოს სახელმწიფო ფასები მშრომელთა მიერ პროდუქციის შესყიდვის შესაძლებლობათა მიხედვით.

5. ბოლო მოეღოს სახელმწიფო ორგანოებისაგან მშრომელებისადმი ხელის შემლის პოლიტიკას, რათა მათ თავისუფლად შექმნან თავიანთი ინტერესების და უფლებების ნამდვილი დამცველი ორგანო (პროფესიული კავშირი).

ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საქართველოს თავისუფალი მოძრაობა მიმართავს საპროტესტო აქციებს.

ჩვენის ღრმა რწმენით საქართველოს არსებული ხელისუფლება გამოიჩენს მაღალ ეროვნულ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, რათა აცილებული იქნას შემდგომი გართულებები.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს ყველა მშრომელს, რათა მხარი დაუჭიროს ჩვენს მოთხოვნებსა და ერთობლივი ძალებით დავიცვათ ჩვენი ინტერესები და უფლებები.

საქართველოს მეტალურგთა თავისუფალი კავშირი,
საქართველოს თავისუფალი შრომის კლუბი,
საქართველოს მძღოლთა თავისუფალი კავშირი.

თბილისი, 4 ივნისი, 1990 წელი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო უახლოეს ხანში სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასების საშუალოდ 2-ჯერ გაზრდას აპირებს. იგი ამას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობით ასაბუთებს. თუ ეს ასეა, მაშინ საცალო ფასების მომატება ისევ ცენტრალიზებული გზით არ უნდა ხდებოდეს. საბაზრო ეკონომიკა თავისუფალ ფასებს გულისხმობს, თავისუფალი ფასები კი შრომის თავისუფალ ანაზღაურებას უნდა ითვალისწინებდეს. ფასების ზრდას თან უნდა სდევდეს ანაზღაურების შესატყვისი მატებაც. საბჭოთა მთავრობის პროგრამაში გათვალისწინებულია ფასების მომატების მხოლოდ ნაწილობრივი კომპენსაცია. 60 მილიარდ მანეთზე მეტი კომპენსაციის გარეშე რჩება, რაც უმძიმეს ტვირთად დააწვება ისედაც გაღატაკებულ მშრომელ ხალხს.

ჩვენ პეშმარიტი საბაზრო ეკონომიკის მომხრენი ვართ. მაგრამ ფასების ზრდა უნდა მოხდეს სრული კომპენსაციით. **ამის გარეშე იგი მწვავე სოციალურ კოლიზიებს გამოიწვევს, რამაც შეიძლება დაჩრდილოს ეროვნული მოძრაობა და ხელი შეუშალოს ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.**

ჩვენი მოთხოვნაა: — „ფასების მომატება — მხოლოდ 100 პროცენტის კომპენსაციით!“

მოგიწოდებთ, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე, რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატების ყრილობისა და უკრაინის სსრ უზენაესი საბჭოს მსგავსად, უარი თქვათ საკავშირო მთავრობის ანტიხალხურ პროგრამაზე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

პროექტი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ

ამას წინათ შემოგთავაზეთ საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ შემუშავებული პროექტი საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებისა „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ“. ამჯერად გთავაზობთ კიდევ ერთ ვარიანტს უზენაესი საბჭოს დადგენილებისა „საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრის აბესალომ ტულუშის მიერ.

ემუარება რა იმ ფაქტს, რომ რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1921 წლის 25 თებერვალს შეიარაღებული ინტერვენციის გზით მოახდინა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპაცია, ხოლო 1922 წლის 30 დეკემბერს ძალადობით თავსმოხვეული. საერთაშორისო ხელშეკრულების მეშვეობით — საქართველოს რესპუბლიკის ფაქტობრივი ანექსია;

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტს და კანონიერ მთავრობას არასოდეს უცვნიათ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანების კანონიერება, და იმასაც, რომ საქართველოს რევკომს, როგორც არაწარმომადგენლობით ორგანოს, არ ჰქონდა არავითარი უფლება ემოქმედა ქართველი ერის სახელით და მიეღო გადაწყვეტილება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

ეფუძნება რა იმ ფაქტს, რომ იძულებით თავსმოხვეული 1922 წლის 30 დეკემბრის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შემდეგაც, მიუხედავად ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიისა, საქართველოს სახელმწიფოს იურიდიულად არსებობა არ შეუწყვეტია;

აღასტურებს რა 1990 წლის 9 მარტს მიღებულ თავის დადგენილებას — „საქართველოს სსრ სუვერენიტეტის გარანტიების შესახებ“, რომლითაც უკანონოდ მიჩნეულ და გაუქმებულ იქნა ყველა ის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველოს სსრ შედიოდა სსრკ შემადგენლობაში;

მიაჩნია რა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების უგულებელმყოფელი მთელი რიგი კანონების მიღება, ისედაც ცალმხრივად მანამდე დარღვეული და delietum-ად ქცეული 1922 წლის 30 დეკემბრის საერთაშორისო ხელშეკრულების ფაქტობრივ გაუქმებად;

თვლის რა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, როგორც ოკუპირებული სახელმწიფოს მიმართ, სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს ძალადობის შედეგად თავსმოხვეულ და აქედან გამომდინარე არაკანონიერ იურიდიულ აქტებად, საქართველოს სსრკ შემადგენლობიდან გამოსვლისათვის სსრკ კონსტიტუციის 72-ე, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლებისა და სსრკ შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის შესახებ სსრკ კანონის გამოყენების მიუღებლად;

აღიარებს რა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ტერიტორია დღემდის ოკუპირებულია სსრკ შეიარაღებული ძალების მიერ;

ითვალისწინებს რა ქართველი ერის მკაფიოდ გამოხატულ ნებას და დაუოკებელ სწრაფვას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების აღდგენისაკენ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო:

— **უკანონოდ ცნობს** საქართველოში სსრკ სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოში მისი დამყარების მომენტიდან და აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის დაწყებას (Restitutio ad integrum).

— **აცხადებს** გარდამავალ პერიოდს, რომელიც დამთავრდება საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ დეკლარაციის მიღებით და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოების ფორმირებით;

— **გადასცემს** თავის უფლებამოსილებებს და ძალაუფლებას პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით არჩეულ პარლამენტს — საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მის მიერ შექმნილ მთავრობას, დამფუძნებელი კრების არჩევის დღიდან.

— **ქმნის** საპარლამენტო კომისიას, რომელსაც ავალებს ერთი თვის ვადაში უზენაესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და მისაღებად წარმოადგინოს გარდამავალ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მართვის დროებითი წესის (დროებითი კონსტიტუციის) პროექტი, რომელშიც მოცემული იქნება საქართველოს ყველა მოქალაქის სამართლებრივი გარანტიები განურჩევლად ეროვნებისა, დაცული იქნება აფხაზი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობისა და ეთნიკური ჯგუფის კანონიერი ეროვნული უფლებები;

— **მოუწოდებს** რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოს და მთავრობას, დაადასტუროს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ერთგულება საქართველოს რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებისადმი;

— **მოუწოდებს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოს და მთავრობას, დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით.

— **გამოხატავს სურვილს** დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებთანაც საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა ასეთი ურთიერთობა საელჩოთა და საკონსულოთა დონეზე.

●

ეს დადგენილება ძალაში შედის მიღების მომენტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ფურცელი

გზა მომავლისა

დღეს საქართველოში შექმნილი სიტუაცია მეტად რთული და [illegible]ზროვანია. ყველასათვის ნათელია, რომ პოლიტიკური აზრის ჩიხში შესვლას შეიძლება მოჰყვეს საქართველოს შორს სამოქალაქო ომი, რაც ყოველად დაუშვებელია [illegible] რასაც არც ერთ შემთხვევაში [illegible] გვაპატიებს ერი. აქ საკითხია [illegible] მხოლოდ პიროვნული პასუხისმგებლობისა, არამედ მთელი [illegible]ის ზნეობრივი და ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანებისა უცილობელი კატასტროფის [illegible]შროების წინაშე. სიმართლეს [illegible]ალებში უნდა ჩავხედოთ. თუ კი [illegible]ეს ვერ შევძელით ჩვენი ერთობლივი მოქმედებით სამშობლოს [illegible]დარჩენა, მაშინ თვითონვე დავუკავთ მას. ეს ყველას კარგად [illegible]და ესმოდეს, ვინაიდან ასეთ [illegible]ულ სიტუაციაში საქართველო [illegible] ყოფილა ძალიან დიდი ხნის გა[illegible]ვლობაში.

ყველამ ვიცით, რომ გვინდა დაუკიდებლობა და აუცილებლად [illegible]და მივაღწიოთ მას. ეს თავისთავად დიდი ბედნიერებაა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ [illegible]ენს სანუკვარ მიზანს, ამაზე ერთიანი პოზიცია არ გაგვაჩნია. სწორედ [illegible]ეს არის ჩვენი უბედურების [illegible]. რა თქმა უნდა, აზრთა [illegible]ურალიზმი აუცილებელი პირობა დემოკრატიული საზოგადოების აშენებისა, მაგრამ ის სწორედ [illegible]ტომაცაა, რომ სხვადასხვა პოზიციათა შეჯერებით ერმა გამოიშავოს გარკვეული კონსტრუქციული გზა მოქმედებისა, რომელიც საბოლოო ჯამში ბედნიერებას [illegible]უტანს მას. ამისათვის კი საჭიროა გარკვეული ზნეობრივი, ეთიკური და პოლიტიკური კულტურა, [illegible]ც გამოიხატება საკუთარი ინტერესების დათმობაში ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობაში, პოლიტიკური ოპონენტის პატივისცემასა და, რაც მთავარია, [illegible]დითი ხასიათის გადაწყვეტილების მიღებასა და მათს აღსრულებაში.

[illegible]მე ღრმად მწამს, რომ დღევანდელ საქართველოს ჰყავს ათეულობითა და ასეულობით ისეთი [illegible], ვისაც ძალუძს თავის მხრივ [illegible] აიღოს მთელი სიმძიმე ჩვენი [illegible]ასა და კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანოს ერი. ამის [illegible]უძველს მაძლევს ის პოზიტიური [illegible] ცვლილებებიც, რომლებიც მოხდა ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კერძოდ ის, [illegible]ომ ჩვენ ნგრევის გზიდან თანდათან შენების გზაზეც გადავედით. [illegible]აგრამ ეს მხოლოდ ჩანასახია. საბოლოო მიზნის მიღწევამდე კი [illegible]ამრავი სირთულის გადალახვა [illegible]�გიწევს.

[illegible]ემის აზრით ამ უმწვავესი პრობლემების გადაჭრის საქმეში უპირველეს ყოვლისა უცილებელია [illegible]ული თანხმობის კონცეფციის განხორციელება, რაც თავის [illegible]ში გულისხმობს საქართველოს [illegible] წამყვანი პოლიტიკური ძალების გაერთიანებას ერთი იდეის [illegible]შემო. რა თქმა უნდა ეს იდეა [illegible]ნდა იყოს ნაყოფი სხვადასხვა [illegible]ბიციათა გონივრული ურთიერთ[illegible]ჯერებისა და გარკვეული კომ[illegible]ისული, მაგრამ ყველასათვის [illegible]ღები აზრის მიღებისა. ეს ერ[illegible]ნობა ჩვენგან გარკვეულ [illegible]ერპლს მოითხოვს, მაგრამ, მე[illegible]ენ, ის განუზომლად უფრო [illegible], ვიდრე ერთმანეთში ქიშპის [illegible]ედგად გამოწვეული საყოველ[illegible] ეროვნული უბედურება.

[illegible]დამოუკიდებლობის აღდგენის [illegible]ბებ დღეს არსებობს სამი ძი[illegible]ადი, მაგისტრალური პოზი[illegible], რომელთა გარშემო ტრა[illegible]ს უმძაფრესად ქართული პო[illegible]ტიკური აზრის ვნებათა ღელვა. [illegible] არის სახალხო ფრონტის, [illegible]ვალი მაგიდისა და ეროვნული [illegible]გრესის საკოორდინაციო ცენ[illegible]ის კონცეფციები. რა თქმა უნ[illegible] ძირითადი პოლიტიკური მიმ[illegible]ართულებების ჩამეული კლასი[illegible]ცია სუფთა პირობით ხასიათს [illegible]ტრებს, ვინაიდან ყოველ ინდი[illegible]ს აქვს უფლება გარკვეული ინ[illegible]ტერპრეტაცია გაუკეთოს ან შეავ[illegible] ესა თუ ის ჩამოყალიბებული [illegible].

[illegible]მართლიანობა მოითხოვს აღი[illegible]ოს, რომ ცალ-ცალკე აღებუ[illegible] სამივე გზა შეიცავს რაციონალ[illegible] მარცვალს და არც ერთი [illegible]ანი არ არის დაზღვეული უნე[illegible] შეცდომებისაგან. წინამდე[illegible] წერილში შევეცდები მოკ[illegible]�მოვიხილო ეს კონცეფციები [illegible] მკითხველს გავაცნო ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხ[illegible]დმი. კერძოდ, ის კონკრეტული [illegible] თუ როგორ გვესახება საქარ[illegible]ლს სახელმწიფოებრიობის [illegible]ენა.

სახალხო ფრონტისეული თეორია, რომელიც არაერთგზის გაგვაცნო მისმა თავმჯდომარემ, ღრმად პატივცემულმა ბატონმა ნოდარ ნათაძემ როგორც ტელევიზიის, ასევე პრესის საშუალებით, თავის თავში გულისხმობს არსებული საბჭოთა სტრუქტურების ეფექტიან გამოყენებას, უზენაეს საბჭოში კეთილსინდისიერი და პატრიოტულად განწყობილი დეპუტატების არჩევის გზით. ე. ი. ფაქტობრივად „ტროას ცხენის“ გამოყენებით ციხის შიგნიდან გატეხვას.

თავს უფლებას მივცემ და მცირედში შევეკამათები ამ მოსაზრებას. ჩემის აზრით, საბჭოური სოციალიზმი თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული სტრუქტურებით არის იმპერიის მოდერნიზებული სახეცვლილება, სადაც ყველაფერი ერთმანეთში ისეა გადაჯაჭვული და ათქვეფილი, რომ ძალიან რთული ხდება ამ მავთულხლართებიდან თავის დაღწევა. ჩნდება საშიშროება, იმის ნაცვლად, რომ ჩვენ გამოვიყენოთ უზენაესი საბჭო—პირიქით, მან არ გამოგვიყენოს ჩვენდაუნებურად. საჭიროა ძალიან დიდი შორსმჭვრეტელობა, რათა არ დავუშვათ საბედისწერო შეცდომა. მე ამას წმინდა რაციონალისტური თვალსაზრისით ვამბობ, რადგანაც ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი პატონი ნოდარ ნათაძის პიროვნულ პატიოსნებაში. ამავე დროს, არ შეიძლება არ დაეთანხმო ფრონტისეულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ უზენაესი საბჭოს დე-ფაქტოდ არსებობის სრული იგნორირება ბავშვური გულუბრყვილობაა, ვინაიდან ფაქტობრივ ხელისუფლებას დღეს სწორედ ის განახორციელებს. ის არის კრემლის მეტროპოლიის ადგილობრივი წარმომადგენელი — საქართველოს კოლონიის გენერალ-გუბერნატორი. მისი არცრნა შეიძლება მხოლოდ ზნეობრივი და ისტორიული თვალსაზრისით, მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ უზენაესი საბჭო რეალურ ცხოვრებაში და საერთაშორისო სამართლის თვალშიაც 1933 წელს აქეთ წარმოადგენს გარკვეულ საკანონმდებლო პოლიტიკურ სუბიექტს. შეიძლება გარკვეული მოთხოვნები კრემლს წაუყენო, მაგრამ ისიც ამა თუ იმ ღონისძიებას ყოველთვის განახორციელებს ადგილობრივი მეტროპოლიის საშუალებით.

მეორე პოზიცია, ეს გახლავთ მრგვალი მაგიდის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კონცეფცია, რომელსაც აქ არყოფნის გამო დროულად ვერ გავეცანი. მაგრამ, უნდა გითხრათ სიმართლე, ჩემთვის ახალი აქ არაფერი ყოფილა. ეს აზრი გამოთქმულ იქნა ჯერ კიდევ 13-15 მარტს გამართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე. ობიექტურობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ამ კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი ბატონი თეიმურ პაატაშვილი უდავოდ პროგრესულად მოაზროვნე, მომავლის პოლიტიკოსია. მის გამონათქვამებში უფრო მეტია კონსტრუქციულობის მარცვალი, ვიდრე დესტრუქციულობისა. მაგრამ, მასთანაც შეიძლება შეკამათება გარკვეულ საკითხებზე. კერძოდ, იმაში ის უდავოდ მართალია, რომ საქართველოს დღეს სჭირდება საკუთარი ნების გამომხატველი ერთადერთი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის იურისდიქციაშიც გადავა ე. წ. საქართველოს სსრ-ს ყველა აღმასრულებელი ინსტანცია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს ორგანო თავის თავს ჯერ-ჯერობით (საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე) ვერ უწოდებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. ოკუპაციის პირობებში შეუძლებელია ამ ორგანომ პასუხი აგოს გარეედან მოხვეულ სხვადასხვა სახის კრიზისებზე ანდა საოკუპაციო ჯარის მოქმედებაზე.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვს. ეს არის ჩვენი ქვეყნის სახელწოდების შეცვლის საკითხი. რა თქმა უნდა საქართველოს დღევანდელი სახელწოდება მთლიანად ფალსიფიცირებულია და შეცდომაში შეჰყავს ყველა გარეშე დამკვირვებელი. ამიტომაც საჭიროა მისი სახელის შეცვლა ისე, რომ იგი ასახავდეს რეალურ მდგომარეობას დღეისათვის. დღეს კი ჩვენ კოლონია ვართ და არავითარ შემთხვევაში არ ვართ რესპუბლიკა. მხოლოდ კოლონიის სტატუსის მიღების შემდგომ შეგვიძლია ჩვენ რეალურად დავსვათ საკითხი საქართველოს დეოკუპაციის შესახებ. თორემ, ისე გამოდის, რომ თითქოს ჩვენ დამოუკიდებელი რესპუბლიკა ვართ და თვითონვე მოვიწვიეთ ხელშეკრულებით რუსის ჯარი ჩვენი სამშობლოს დასაპყრობად. ეს ყველას შეცდომაში შეიყვანს და ძალიან დიდ გაუგებრობას გამოიწვევს მთელს მსოფლიოში. მთელი ჩვენი უბედურება ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით ის არის, რომ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები თუ დოკუმენტები არაფერს ამბობენ საქართველოს ოკუპაციის შესახებ, ერთ რამეში კი ბატონი თეიმურ უდავოდ მართალია. ესაა საკითხი პასუხისმგებლობის შესახებ. თუ კი ჩვენ ჩვენი თავი პოლიტიკოსებად მიგვაჩნია, იმის გამბედაობაც უნდა გვეყოს, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა მაინც ვიკისროთ ერის წინაშე. ამიტომაც ჩვენ არ უნდა დავიწყოთ ხელისუფლებბანას თამაში პარალელური სტრუქტურების შექმნის გზით. ეროვნული კონგრესი უნდა იყოს (თუ იქნება?!)ერთადერთი წარმომადგენლობითი, არჩევითი ორგანო, რომელსაც ქართველი ერი თავისი ნდობის მანდატს მისცემს.

ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ კონცეფციაზე დიდი ხნით არ შევჩერდები, რადგანაც იგი არაერთგზის იყო გამოქვეყნებული პრესაში და განცხადებული ტელევიზიაში. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ჩვენს მოსაზრებებში იმდენად დიდი განსხვავება არ არის, რომ ეს საფუძვლად დაედოს ერის შუაზე გალეჩვასა და კონფრონტაციას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამიტომაც აუცილებელია ჩვენი გაერთიანება გარკვეული ერთი იდეის გარშემო, რომელსაც შემდგომ განახორციელებენ პიროვნებები! ეს სახწრაფო საქმეა და მე ვერ ვხედავ რაიმე სერიოზულ დაბრკოლებას ჩვენი ერთად დაჯდომისა და ურთიერთკომპრომისული შეთანხმების მიღებისათვის.

ახლა კი ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ, თუ როგორ გვესახება ჩვენ ჩიხიდან გამოსვლა. ამ პოზიციით ჩვენ წარვსდექით ეროვნულ ყრილობაზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენზე ადრე ეს იდეა, პატარა განსხვავებით, განავითარეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრებმა ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმა და ბატონმა ირაკლი წერეთელმა.

როგორც ყველა თქვენგანმა იცის, საქართველოს საყოველთაო ეროვნულმა ყრილობამ მიიღო უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო კანონი და 30 სექტემბრისათვის დანიშნა ეროვნული კონგრესის არჩევნები. განსაზღვრა მისი ფუნქციები, როგორც საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების ერთადერთი გამომხატველი წარმომადგენლობითი ორგანოსი. ამასთან ერთად, დაინიშნა საერთო სახალხო რეფერენდუმი კითხვით: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ საქართველოს ეროვნული კონგრესი ჩვენი ქვეყნის კანონიერი მოსახლეობის ნების ერთადერთ გამომხატველ ორგანოდ? ეს კითხვა ყველასათვის ნათელი რომ გახდეს, ვიტყვი, რომ საკითხი დგას ასე: არსებობს ორი ალტერნატივა, ან უზენაესი საბჭო ან ეროვნული კონგრესი. ქართველმა ერმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი.

თუ კი რეფერენდუმის შედეგად ჩვენი ქვეყნის კანონიერი მოსახლეობა მხარს დაუჭერს უზენაეს საბჭოს, მაშინ ყველაფერი ნათელია და რადიკალური ოპოზიციაც იძულებული შეიქმნება დაემორჩილოს, დაჰყვეს ერის ნება-სურვილს. ეროვნული კონგრესის არსებობა მაშინ ჩვენ მიზანშეუწონლად მოგვაჩნია, რადგანაც იგი კარგავს თავის ფუნქციებს.

მაგრამ თუ პირიქით მოხდება, მაშინ უკვე უზენაესი საბჭო უნდა გაუქმდეს. ამ საბჭოურ, კოლაბორაციონისტულ სტრუქტურას გაუქმებს არა რომელიმე ოპოზიციური პარტია, არამედ მთელი ხალხის ნება. ე. წ. უზენაესი საბჭო ამ შემთხვევაში საკუთარ უფლებამოსილებებს გადასცემს ეროვნულ კონგრესს. ეროვნული კონგრესი საქართველოს აცხადებს ოკუპირებულ ქვეყნად და საკუთარ თავს კოლონიის ოპოზიციური თვითმმართველობის ორგანოდ. რადგანაც, როგორც უკვე ადრე ვთქვი, რეალური ხელისუფლება წარმოუდგენელია სრული დამოუკიდებლობის გარეშე.

ამრიგად, ეროვნული კონგრესი ამ შემთხვევაში ხდება ის ერთადერთი იურიდიული პირი, რომელიც საერთაშორისო სამართლისა და კრემლის ხელისუფლების წინაშე რეალურად დასვამს საკითხს საქართველოს დეკოლონიზაციის შესახებ. ის პასუხს აგებს ყველა იმ პრობლემის გადაჭრის თაობაზე, რომელიც მის კომპეტენციაში შედის. ფაქტობრივად ის განახორციელებს იმ ხელისუფლებას, რომელიც მას რეალურად ხელეწიფება ოკუპაციის პირობებში. საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კრემლის საოკუპაციო ხელისუფლების წინაშე მისი მორალური, იურიდიული და ყოვლად უტყუარი ფარი კი იქნება ხალხის ნების ყველაზე დემოკრატიული გამოხატულების საერთო-სახალხო პლებისციტის შედეგები. ამ შემთხვევაში ვერავინ ვერ შემოგვედავება.

კერძოდ, რას გააკეთებს კოლონიის ოპოზიციური თვითმმართველობის ორგანო. ის დაიწყებს მოლაპარაკებას საქართველოს დეკოლონიზაციის საკითხზე (იგულისხმება ჯარების გაყვანა ჩვენი ტერიტორიიდან) კრემლის საოკუპაციო ხელისუფლებასთან, საერთაშორისო სამართლის წინაშე რეალურ დონეზე დასვამს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს, შეძლებისდაგვარად შეეცდება გადაწყვეტოს მიმდინარე პრობლემები ქვეყნის შიგნით, ტრანსფორმაციას გაუკეთებს და შეიცვლის არსებულ აღმასრულებელ სტრუქტურებს, დასახავს მომავალი საქართველოს საგარეო ურთიერთობების კონტურებს, ზურგს არ შეაქცევს კულტურულ-ეკონომიკურ, საგანმანათლებლო თუ სოციალურ საკითხებს, იზრუნებს ეკოლოგიური პრობლემების ძოგვარებისათვის და ყველანაირად შეამზადებს საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის. თავისუფლებას მზადყოფნა სჭირდება როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ პლანშიაც. სწორედ ამ მზადყოფნის გარანტი უნდა შეიქმნას საქართველოს ეროვნული კონგრესი.

ამრიგად, კოლონიის ოპოზიციური თვითმმართველობის ორგანოს დაეკისრება განმათავისუფლებელ-მაკოორდინირებელი ფუნქციები. ის ვერ იქნება სრულუფლებიანი საკანონმდებლო ხელისუფლება, მაგრამ ის ფაქტობრივად განახორციელებს ხელისუფლების ფუნქციებს, რამდენადაც ეს მისი შესაძლებლობების ფარგლებში იქნება. ხოლო საქართველოს ნამდვილი განთავისუფლების შემდგომ კი ძოეწყობა ჩვენი ჭეშმარიტად საკანონმდებლო ორგანოს ქართული პარლამენტის არჩევნები.

ჩვენის აზრით, ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, ხოლო წარმოყენებულ კანდიდატებში უნდა იყვნენ უაღრესად განსწავლული, მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ადამიანები. უპირველეს ყოვლისა ეხება ინტელიგენციას, ვინაიდან ჩვენი ერის ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალი სწორედ ინტელიგენციაშია. მე ღრმად-მწამს იმისა, რომ გამოჩნდებიან ივანე ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის, ექვთიმე თაყაიშვილის, პავლე ინგოროყვას და სხვა მრავალთა ტრადიციის ღირსეული გამგრძელებლები, რომლებიც გულგრილი მეთვალყურის როლს არ დაიჭერენ სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტ ეტაპზე. და თუ კი ამ დიდმა მოღვაწეებმა არ ითაკილეს სხვადასხვა ეროვნულ პარტიებში გაერთიანება და მათს სათავეში ჩადგომა, არც ჩვენი თანამედროვეები ჩამორჩებიან მათს მაგალითს.

ამა წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულ სტადიონზე გამართულ მიტინგზე ორმა პოლიტიკურმა პარტიამ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ და ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა წაიყითხეს მიმართვა, სადაც საქართველოს დე-ფაქტოდ არსებულ ხელისუფლებას, უზენაესი საბჭოს მოსთხოვეს საჩქაროდ მოეწვია მისი რიგგარეშე სესია და განეხილა საკითხი 30-სექტემბრისათვის დანიშნულ საერთო-სახალხო რეფერენდუმის ოფიციალურად ცნობის ანუ ლეგიტიმაციის შესახებ. შემდგომში ეს მიმართვა ჩაწერილ იქნა ტელევიზიაშიც (გადაცემა ჯერ ეთერში არ გასულა).

ამ მიმართვას მხარი დაუჭირა უზენაესი საბჭოს დეპუტატთა გარკვეულმა ნაწილმაც. რამდენიმე დღეში ისინი — კერძოდ ბ-ნები: აკაკი ბაქრაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელდარ შენგელაია და ქ-ნი ლანა ღოღობერიძე — შეხვდნენ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გივი გუმბარიძეს, რომლისგანაც მტკიცე უარი მიიღეს ამ საკითხთან დაკავშირებით. ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი რეაქცია გასაგებიცაა, ვინაიდან ეს იქნებოდა პირველი და უპრეცენდენტო შემთხვევა საბჭოთა იმპერიის არსებობაში, როდესაც ხალხს ეკითხებიან უნდა თუ არა მას საბჭოთა წყობა. თუმცა მე არ გამოვრიცხავ იმ ვარიანტსაც, რომ ეროვნულ კონგრესში არჩევნების შედეგად ხმათა გარკვეული დიდი ნაწილი შეიძლება კომპარტიასაც ხვდეს წილად. ჩემის აზრით, არავითარი არგუმენტი არ შეიძლება არსებობდეს ხალხის ნების ყველაზე დემოკრატიული გამოხატულების ფარული საერთო-სახალხო კენჭისყრის წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ მის შესახებ კანონის შემუშავებასა და მიღებას მაინცდამაინც დიდი დრო არ სჭირდება.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ღრმად მწამს, რომ თუ კი ჩვენ გავერთიანდით, საერთო ძალისხმევით შეიძლება იმის მიღწევა, რომ დე-ფაქტოდ არსებულმა ხელისუფლებამ ოფიციალურად სცნოს 30 სექტემბრისათვის დანიშნული რეფერენდუმი და მონაწილეობაც მიიღოს მის ჩატარებაში.

ბუნებრივია, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ კი თქვენ, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი, არ სცნობთ უზენაეს საბჭოს, როგორც ქართველი ერის ნების გამომხატველს, რატომ მიმართავთ მას ამგვარი მოთხოვნით. მაშინ გავიხსენოთ 1988 წლის 12 ნოემბრისა და 23-29 ნოემბრის აქციები, რომლებიც ოქროს ასოებით შევიდნენ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. მაშინდელი მოთხოვნებიც სწორედ მიმართული იყო ე. წ. უმაღლესი საბჭოს მიმართ და მაშინდელი ძალისხმევით მოხერხდა სწორედ ის, რომ დღეს ყველა ჩვენთაგანს არა აქვს წართმეული ელემენტარული ადამიანური თუ ეროვნული უფლებები.

ჩვენ არ ვცნობთ უზენაეს საბჭოს, როგორც ინტერვენციისა და აგრესიის შედეგს, არ ვცნობთ მას ზნეობრივად და ისტორიულად, მაგრამ ვხედავთ მის რეალურ ძალაუფლებას, როგორც მეტროპოლიის ადგილობრივი წარმომადგენლობისა. დღევანდელ მსოფლიოც, სამწუხაროდ, ერთადერთ იურიდიულ პირად საქართველოში სწორედ მას აღიარებს. ამიტომაც მისი იგნორირება ამ შემთხვევაში სრული სისულელე იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ჩვენ მას არ ვთხოვთ არც სახსრებს, არც სხვა რაიმე მატერიალურ დახმარებას. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ერთი საკანონმდებლო, იურიდიული აქტი, რომელიც ნათელს მოჰფენს დღევანდელ ჩახლართულ პოლიტიკურ სიტუაციას.

თუ კი ეს აქტი იქნა მიღებული, ჩვენ საშუალება გვექნება დავასწროთ ეროვნული კონგრესის არჩევნებსა და მის პარალელურად მიმდინარე საერთო-სახალხო რეფერენდუმს საერთაშორისო მეთვალყურეები. გარდა ამისა, პლებისციტის შედეგისდა მიხედვით ლეგიმიტირებული იქნება ეროვნული კონგრესიც და თავისთავად მოისპობა საშიშროება ორხელისუფლებიანობისა.

(დასასრული №-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ხოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის სპექტაკლით „მუნჯის სიზმრები“ იხსნება საქართველოს საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო დრამატული თეატრების III რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც ჩატარდება აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. ფესტივალში მონაწილეობენ ცხინვალის, თელავის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ჭიათურისა და ოზურგეთის თეატრები. ამასთანავე მოწვეულია კანადელ სცენისმოყვარეთა თეატრი „თამაშობენ ახალგაზრდები“, მათ პროგრამაშია შუსიკალური ფოზაიკა — ახალი ხკოტის სიმღერები.

სტუდენტური სპექტაკლები პროფესიულ სცენაზე

სოხუმის ქართული თეატრის ბოლოდროინდელი შემოქმედებითი ცხოვრების ერთგვარი აღმავლობა, მიღწევები განპირობებულია იმ მეტად თავისებური, საინტერესო გარემოთი, რომელიც შექმნილია თეატრში ახალგაზრდა თაობისთვის. ახალბედა მსახიობები უფროსი კოლეგების მხარდაჭერით გახალისებულნი, მათი გამოცდილების კვალდაკვალ, დღითიდღე ხვეწენ თავიანთ აქტიორულ შესაძლებლობებს. ამ კეთილგანწყობის ფონზე თეატრის ახალგაზრდობა ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან, წამყვან შემოქმედებით ძალას წარმოადგენს, რაც გამოჩნდა კიდეც ახალგაზრდა მსახიობთა მიერ განსახიერებულ გმირთა სიუხვითა თუ მრავალპლანიანობით. ახალგაზრდები მთავარ როლებს ასრულებენ როგორც კლასიკური ჟანრის, ასევე თანამედროვე სპექტაკლებში.

სოხუმის ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგი ქავთარაძე ყოველმხრივ ხელს უწყობს თეატრში ნიჭიერი ახალი თაობის გამოჩენას, არა მხოლოდ სამსახიობო ხელოვნებაში, არამედ რეჟისურაში. მისი სამხატვრო ხელმძღვანელობის პირველსავე ხანებში ჩვენს თეატრში სპექტაკლები დადგეს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტებმა: დათო ანდღულაძემ — ალექსანდრე გელმანის „პირისპირ“ და მანანა კვირკველიამ — უილიამ გიბსონის „ორნი საქანელაზე“. მომდევნო თეატრალურ სეზონში IV კურსის სტუდენტმა გიორგი შენგელიამ დადგა საკურსო სპექტაკლი ბავშვებისთვის — ევგენი შვარცის „წითელქუდა“. სამივე დადგმის ხელმძღვანელია გოგი ქავთარაძე. ამ სპექტაკლებში უმთავრესად დაკავებული არიან ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

რამდენიმე თეატრალური სეზონია, რაც თეატრის ახალგაზრდებს შეუერთდა სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ჯგუფი, რომელსაც საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი საგანგებოდ სოხუმის ქართული თეატრისთვის ამზადებდა. ესენი არიან: მერაბ ბრეკაშვილი, ლონდა კაცია, მარინე სოლომონია, გია ფარცვანია, ნოდარ ფერცულიანი, მერაბ ყოლბაია, კახა ძაძამია, ედემ ხვიჩია. მათ სოხუმში ჩამოიტანეს III კურსის სადიპლომო ნამუშევარი — არჩილ სულაკაურის „მტრედები“, რომელიც დადგა ჯგუფის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა დავით კობახიძემ. ამ სპექტაკლით იწყება ახალბედების შემოქმედებითი ბიოგრაფია პროფესიულ სცენაზე. „მტრედებს“ მოჰყვა რობერტ სტურუასა და გოგი ქავთარაძის „ბრალდება“, რომელიც მათ სადიპლომო წარმოდგენად ითვლება. მაგრამ ამჯერად ახალგაზრდებმა იმუშავეს არა ინსტიტუტის კედლებში, არამედ სოხუმის ქართულ სცენაზე. სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა. „ბრალდება“ დღესაც ჩვენი თეატრის მიმდინარე რეპერტუარშია.

კეთილი ტრადიცია (სტუდენტების მოწვევისა) დღესაც კვლავ გრძელდება — მიმდინარე თეატრალური სეზონი ამ მხრივ, მართლაც, მეტად საყურადღებო აღმოჩნდა სოხუმის თეატრისთვის. ახლახან ორი ახალი სტუდენტური სპექტაკლის პრემიერა შედგა. ეს სპექტაკლებია: „მუნჯის სიზმრები“ და „დედოფალი მარიამ“.

სპექტაკლი „მუნჯის სიზმრები“ დაიდგა ახალგაზრდა დრამატურგის გიორგი გამსახურდიას პიესის — „ქარი მუშტში ანდა მუნჯის სიზმრები“-ს მიხედვით. ამ ნაწარმოებით ავტორმა გაიმარჯვა საკავშირო დრამატურგთა კონკურსზე, სადაც იგი თანამედროვე ახალგაზრდულ თემაზე შექმნილ საუკეთესო პიესად აღიარეს.

საგულისხმოა, რომ „მუნჯის სიზმრები“ პირველად დაიდგა სოხუმის ქართულ თეატრში. უახლოეს ხანებში ამ სპექტაკლის პრემიერა შედგება მოსკოვისა და საქართველოს სხვა თეატრებში. მომავალი წლის თეატრალურ სეზონში „მუნჯის სიზმრებს“ დადგამს ამერიკის შტატ ილინოისის ქალაქ პეორიაში არსებული მეიერ ჯაკობსის თეატრი, რომელსაც ეს პიესა ამერიკულ-საბჭოთა თეატრალურმა ასოციაციამ შესთავაზა.

პიესა „ქარი მუშტში ანდა მუნჯის სიზმრები“ აბსურდულია. სიუჟეტურად იგი აგებულია მთავარი მოქმედი გმირის — მუნჯის ხილვებზე, რომელშიც შერწყმულია რეალური და ირეალური სამყარო. სპექტაკლში სააშკარაოზეა გამოტანილი დღევანდელობის მანკიერებანი, ჩვენი თანამედროვეობის სავალალო მდგომარეობა და სხვა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები.

სოხუმის ქართული თეატრის ეს ახალი სპექტაკლი თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტის ბექა ქავთარაძის საკურსო ნამუშევარია. დადგმის ხელმძღვანელი გახლავთ საქართველოს სახალხო არტისტი თემურ ჩხეიძე.

პიესის მიხედვით სპექტაკლში სულ ხუთი მოქმედი პირია, რომელნიც მეტად შთამბეჭდავად განასახიერეს ახალგაზრდა მსახიობებმა: ნუგზარ ჭანტურიამ, ჯულიეტა პაკელიანმა, შერაბ ყოლბაიამ, კახა შარაბიძემ, ნანა ხურითმა.

სოხუმის ქართულ თეატრში ტრადიციისამებრ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ-ისტორიულ თემატიკაზე შექმნილ სპექტაკლებს, როგორიცაა: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, გურამ ბათიაშვილის „1832 წელი“, ჰენრიკ იბნამუშევარია. დადგმის ხელმძღვანელი გახლავთ საქართველოს სახალხო არტისტი თემურ ჩხეიძე.

პიესის მიხედვით სპექტაკლში სულ ხუთი მოქმედი პირია, რომელნიც მეტად შთამბეჭდავად განასახიერეს ახალგაზრდა მსახიობებმა: ნუგზარ ჭანტურიამ, ჯულიეტა პაკელიანმა, შერაბ ყოლბაიამ, კახა შარაბიძემ, ნანა ხურითმა.

სოხუმის ქართულ თეატრში ტრადიციისამებრ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ-ისტორიულ თემატიკაზე შექმნილ სპექტაკლებს, როგორიცაა: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, გურამ ბათიაშვილის „1832 წელი“, ჰენრიკ იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის“. სამივე წარმოდგენა მაყურებელთა განსაკუთრებული ყურადღებითა და მოწონებით სარგებლობს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანში ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულია ასახული, უწინარეს ყოვლისა, ეს სპექტაკლები მაინც თანამედროვე ჟღერადობითა და აქტუალობით გამოირჩევა.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი სპექტაკლების ნუსხას შეემატა ისტორიული დრამა „დედოფალი მარიამ“, რომელიც შეიქმნა ჯაბა იოსელიანის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. ეს ახალი სპექტაკლი თეატრმა უძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

სოხუმელთა „დედოფალი მარიამ“ სავსებით თანადროული სპექტაკლია, მიუხედავად იმისა, რომ პიესის მიხედვით მოქმედება ვითარდება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე — გიორგი XII-ისა და საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის სამეფო კარზე, სახელდობრ, წარმოდგენილია ის პერიოდი, როცა საქართველოში, ფაქტიურად, გაუქმდა სამეფო და იგი მეფის რუსეთის გუბერნია გახდა.

ამ სპექტაკლით „დედოფალი მარიამ“-ის დამდგმელებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ ერი, რომელსაც წინამძღოლი არა ჰყავს და არ იბრძვის თავისი ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის, განწირულია დასაღუპავად.

სპექტაკლი დადგა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტმა მიხეილ რატიანმა. დადგმის ხელმძღვანელია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით კობახიძე.

სპექტაკლში გამოცდილ მსახიობებთან ერთად მეტად საინტერესო მხატვრული სახეები შექმნეს ახალგაზრდა მსახიობებმა: ლილი ხურითმა, მერაბ ბრეკაშვილმა, კახა ძაძამიამ, გია ფარცვანიამ, გოჩა დამენიამ, ედემ ხვიჩიამ და სხვებმა.

წლევანდელი თეატრალური სეზონის დახურვამდე კიდევ ერთი სტუდენტური სპექტაკლის პრემიერაა მოსალოდნელი. ეს გახლავთ აზიზ ნესინის პიესა „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო!“ აზიზ ნესინი საკმაოდ ცნობილი თანამედროვე თურქი დრამატურგია, მაგრამ საქართველოში მისი დადგმის ტრადიცია არ არსებობს. სპექტაკლს „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო-“ დგამს სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტი ნინო კავსაძე. დადგმის ხელმძღვანელია დათო კობახიძე.

ამჟამად მოუთმენლად ველით საქართველოს საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო დრამატული თეატრების III რესპუბლიკური ფესტივალის გახსნას. იმედია ამ ფესტივალზე ჩვენი თეატრის ერთგული თბილისელი თაყვანისმცემლები კვლავაც ჩვეული ინტერესითა თუ თანადგომით შეხვდებიან სოხუმელთა ახალგაზრდულ ნამუშევარს „მუნჯის სიზმრები“.

ირმა გოცირიძე,
თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, ხელოვნებათმცოდნე.

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა

გენერალი ოლოვერ უორდროპი

(დასასრული)

ვიდა საგანგებო მისია პოლკოვნიკ გაბას მეთაურობით. მისიამ დიდი სამუშაო ჩაატარა. ოფიციალურ დონეზე დაიდო შეთანხმებანიც. საქართველოში გამოსამგზავრებლად იტალიაში საგანგებო სამხედრო შენაერთიც ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ ფართო სამზადისს ზღვარი დაუდო იტალიის მთავრობის ახალმა შემადგენლობამ. იტალიის მთავრობის თავმჯდომარე ნიტტი თავის უარყოფით პოზიციას საქართველოსთან კავშირის გამო ამართლებდა „წითელი მოსკოვის“ შიშით.

პარიზის კონფერენციის დასასრულს მსოფლიოს რიგმა სახელმწიფოებმა „დე ფაქტოდ“ სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. პირველად ეს ნაბიჯი გადადგა არგენტინამ (1919 წ. 15 სექტემბერი). 1920 წ. 20 იანვარს საქართველო „დე ფაქტოდ“ ცნო ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ, იმავე წლის 7 თებერვალს — იაპონიამ. 11 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველო სცნო აგრეთვე გენერალ დენიკინის სარდლობამ. ეს დიდი მორალური გამარჯვება იყო, მაგრამ საკითხს საბოლოოდ ვერ წყვეტდა. საქართველო ჯერ კიდევ მოელოდა მისი დამოუკიდებლობის იურიდიულ (დე იურე) აღიარებას.

1920 წ. დამდეგიდან საქართველოს საგარეო ვითარება გართულდა. საბჭოთა ჯარებმა დენიკინის არმიას ზედიზედ მარცხი მიაყენეს და იგი განდევნეს არა მარტო სამხრეთ რუსეთის ტერიტორიიდან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. 1920 წ. აპრილის ბოლოს წითელი არმია ბაქოში შევიდა. აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ბაქოში წითელი არმიის უბრძოლველად შესვლა, რაც მუსავატური პარტიის ლიდერებისა და ქემალისტების ფარული გარიგების შედეგად მოხდა, ცუდი ნიშანი იყო საქართველოსათვის, იგი თბილისბათუმის დაპატრონების წინამორბედ აქციას წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლობის საიმედო გარანტიად მოეჩვენა რუსეთთან სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. ამ მისიით გაგზავნა მოსკოვში მთავრობის რწმუნებული გრ. ურატაძე. ურატაძისა და ლ. კარახანის ხელმოწერით 1920 წ. 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება (კარახანი ვ. ი. ლენინის რწმუნებით იყო აღჭურვილი). ამ ხელშეკრულების პირველივე მუხლით საბჭოთა რუსეთმა, რომელიც ემყარებოდა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპს, ყოველგვარი პირობის გარეშე ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ხელშეკრულების მეორე მუხლით რუსეთმა აიღო ვალდებულება არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში.

ამრიგად, 1920 წლის ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობამ მიაღწია რუსეთის მხრიდან დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღიარებას. ეს იყო დიდი მონაპოვარი, თუმცა ხელშეკრულება რუსეთს გარკვეულწილად საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებასაც აძლევდა. ასე მაგალითად: ხელშეკრულებას ახლდა „განსაკუთრებული საიდუმლო დამატება“, რომლის ძალით საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს ეძლეოდათ ლეგალური მუშაობის უფლება. მიუხედავად ამისა, 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება იყო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რაც საქართველოს სტატუსს მსოფლიოს ასპარეზზე განამტკიცებდა.

ამ ხელშეკრულებამ გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი საერთაშორისო ნდობა. მან კიდევ უფრო გაუადვილა უცხო ქვეყნებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ამის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად ცნეს: გერმანიამ (1920 წლის 4 სექტემბერი), ბელგიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ (1921 წლის 27 იანვარი), პოლონეთმა (1921 წლის 28 იანვარი), ავსტრიამ (1921 წლის 17 თებერვალი), რუმინეთმა (1921 წლის 18 თებერვალი), ლუქსემბურგმა (1921 წლის 23 თებერვალი), მექსიკამ (1921 წლის 14 აპრილი) და სხვ.

ხელშეკრულების დადების პირველსავე თვეში გამწვავდა საქართველოს რესპუბლიკის დამოკიდებულება საბჭოთა აზერბაიჯანთან, რომელიც უკანონოდ მიიჩნევდა ზაქათალის ოლქის მოქცევას საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში. ამის გამო გრძელდებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალთა შეტაკებანიც ამ რაიონში — საქმეში ჩაერია საბჭოთა რუსეთი, რომელმაც სადაო ტერიტორიაზე თავისი ნაწილები შეიყვანა, ხოლო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მიანდო ე. წ. „შერეულ კომისიას“ რსფსრ-ის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ხელშეკრულების სტაბილურობას მძიმე დარტყმა მიაყენა სომხეთისა და თურქეთის ომმა და წითელი არმიის ნაწილების შეყვანამ სომხეთში, რაც არაპირდაპირ, მაგრამ არსებითად საქართველოს ბედ-იღბალსაც შეეხებოდა.

ხელშეკრულება არ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად. დადებითთან ერთად მას უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა, ამიტომ მისი ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი შეფასება შეცდომად მიგვაჩნია.

თუ ერთის მხრით, ხელშეკრულებამ განამტკიცა საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის საერთაშორისო ავტორიტეტი და გზა გაუხსნა მის დე იურედ აღიარებას მსოფლიოს რიგ სახელმწიფოთა მიერ, მეორეს მხრივ, ხელშეკრულებამ შექმნა რუსეთისათვის ხელსაყრელი წინა პირობები საქართველოს დასაპყრობად, რაც ბაქოს გასაბჭების შემდეგ მის მორიგ ამოცანას წარმოადგენდა. ასეთი ორნიშნა შედეგებით 1920 წ. ხელშეკრულება ჩამოგავს 1783 წლის ტრაქტატს, რომელსაც საქართველოსათვის დადებითთან ერთად მოქონდა უარყოფითი შედეგებიც, რუსეთის მფარველობაში შესვლით საქართველო ცარიზმს სთავაზობდა პლაცდარმს კავკასიაში გაბატონებისათვის.

●

ერთა ლიგა შეიქმნა 1920 წელს, აშშ-ს პრეზიდენტის ვ. ვილსონის ინიციატივით. ერთა ლიგის ქვეყნებს ეკისრებოდათ კოლექტიური ძალისხმევა მათ შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოს დასაცავად აგრესიისაგან. ერთა ლიგის წევრობა საგარეო უშიშროების მხრივ საიმედო გარანტია იყო საქართველოსათვის, რომელსაც ყოველ მხრიდან მტაცებელი ვეშაპები უთვალთვალებდნენ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს დელეგაციამ პარიზში საჭიროდ ჩათვალა მიეღწია ერთა ლიგის წევრობისათვის და ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც ასაბუთებდა მისი დამოუკიდებლობის ისტორიულ სამართლიანობას და მოითხოვდა აგრესიის შემთხვევაში ქმედით დახმარებას.

საქართველოს დელეგაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი განსახილველად გადაეცა სპეციალურ კომისიას, რომელსაც ნორვეგიის წარმომადგენელი დოქ. ნანსენი თავმჯდომარეობდა.

კომისიამ შეისწავლა დოკუმენტთან დაკავშირებული საკითხები, იგი განსახილველად გაიტანა ყრილობაზე. 1920 წ. 16 დეკემბერს თვით ნანსენი, აგრეთვე, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელი ლორდ სესილი მხარს უჭერდნენ საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში და მოითხოვდნენ მის დაცვას „ბოლშევიკური საფრთხისაგან“. ინგლისს წარმომადგენელი მ. ფიშერი ეჭვს გამოთქვამდა, რომ ერთა ლიგას არ ჰქონდა შესაძლებლობა მატერიალურად დახმარებოდა „რუსეთის საზღვარზე მყოფ ამ მამაც პატარა სახელმწიფოს“ და ყრილობას ურჩევდა თავი შეეკავებინა. ეს ის დრო იყო, როცა ინგლისის პრემიერ-მინისტრი საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაბმის გზებს ეძებდა და მას ახალი მოკავშირეს განაწყენება „პატარა საქართველოს“ გულისათვის არ აწყობდა.

ერთა ლიგის 23 წევრიდან მხოლოდ 10-მა დაუჭირა მხარი საქართველოს მიღებას. ამრიგად, საკითხი უარყოფითად გადაწყდა, მაგრამ დროებით. მომდევნო ყრილობაზე საკითხი კვლავ უნდა დასმულიყო. მანამ საქართველოს უფლება ეძლეოდა მიეღო მონაწილეობა ლიგის საერთო ხასიათის ტექნიკურ ორგანიზაციებში.

პაატა სურგულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს მაინც უნდა ხედავდე

ანუ

იდეა ახალი, ბარიერი ძველი

როდესაც ტელევიზიით საზღვარგარეთის ესტრადის ვარსკვლავების კონცერტს გადმოსცემენ, მუსიკის მოყვარულები სულმოუთქმელად ველით მეოცე საუკუნის საოცრებებს: რეი ჩარლსისა და სტივ უანდერის გამოსვლას. თუ ბედმა გაგვიღიმა და კიდევ ერთხელ მოვისმინეთ მათი ტკბილი, კოსმიური სიმბოთი შეჯერებული ხმები, დიდხანს, დიდხანს რჩება მელოდიები ჩვენს მეხსიერებაში...

ქალაქში ხმა დაირხა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა **ვარლამ ნიკოლაძემ** და მისმა თანამოაზრეებმა უცნაური თეატრი-სტუდია, სახელად „ე ქ ო“ შექმნესო. როგორც განგვიმარტეს, ეს სათაური იმიტომ აირჩევიათ, რომ თავს ვალდებულად თვლიან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ყველა მწვავე პროცესი და პრობლემა ექოსავით აისახოს მათი თეატრის სცენაზე, რა თქმა უნდა, თეატრალური ხერხებით. ამ თეატრში სახელგანთქმულ და ხალხისათვის საყვარელ არტისტებთან ერთად იმუშავებენ მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული უსინათლო და ყრუ-მუნჯი ადამიანები. ასეთი რამ უნიკალური იქნება არა მარტო საქართველოს მასშტაბებში, არამედ მთელ მსოფლიოში. იდეა მართლაც დიდებულია, ვინ იცის, რამდენი უსინათლო და ყრუ-მუნჯი ადამიანის ნიჭი და პოტენციალი დღეს საზოგადოებისათვის უსარგებლოდ და არასწორად წარმართული. ალბათ, მათაც შეუძლიათ მართალი სიტყვის თქმა ერის საჭირბოროტო საკითხებზე.

დავინტერესდით ამ სენსაციური ინფორმაციით და გადავწყვიტეთ რამდენიმე კითხვით მიგვემართა თეატრის რეჟისორისთვის.

— როგორ გესახებათ თქვენს მიერ წამოწყებული საქმის პერსპექტივა?

— პერსპექტივა ოპტიმისტურად რომ არ მესახებოდეს, საქმეს აქამდე არ მოვიყვანდი. მიმაჩნია, რომ დანაშაულის ტოლფასია უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა თეატრალური პოტენციის გამოუყენებლობა. უსინათლოებს აქვთ საოცარი მუსიკალობა. ჩვენს მიერ სამუშაოდ ჩაშვებული სამი სპექტაკლიდან ერთ-ერთი მუზიკლია და სწორედ უსინათლო მომღერალთა მაღალი საშემსრულებლო დონის იმედით გავაკეთეთ ეს.

მგონი არ დარჩენილა ქართველი, რომელსაც არ ენახოს 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ვიდეოფირი, ალბათ, გახსოვთ კიდეც, იმ საბედისწერო ღამეს როგორ გასდევს უსინათლო გოგონების სულისშემძვრელი სიმღერა (დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს). ეს არის მაღალი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული გოგონათა კვარტეტი, რომლებიც დღეს ჩვენს თეატრში მუშაობენ. მათ გარდა ჩვენთან არის თეატრზე უზომოდ შეყვარებული, ასევე მუსიკალური ნიჭის მქონე რამდენიმე უსინათლო ადამიანი, რომლებიც იტვირთავენ ჩვენი სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებას.

ყრუ-მუნჯებს არაჩვეულებრივი პლასტიკა აქვთ, მიუზიკლში კი ეს თვისება ერთ-ერთი პირველი აუცილებლობაა. ამაზე ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მაგალითისთვის მოსკოვის ყრუ-მუნჯ მსახიობთა პანტომიმისა და ეესტის თეატრიც კმარა.

სპექტაკლებში ყოველ მათგანს აქვს პატარა ეპიზოდი ან როლი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო და ალბათ არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ საქართველოს სახალხო არტისტების ლეო ანთაძისა და რევაზ თავართქილაძის გვერდით მონაწილეობენ ჯერ-ჯერობით მაინც არ დაინიშნებოდა მთავარ როლზე. მომავალში კი, ვფიქრობთ, თეატრს უკვე პროფესიულ დონეზე მომზადებული მსახიობები ეყოლება. ახალი სასწავლო წლიდან ჩვენს თეატრ-სტუდიასთან „თეატრალურ ხელობათა საშვგირდო სკოლა“ იწყებს მუშაობას, სადაც სამი წლის განმავლობაში კვალიფიციურ თეატრალურ მომზადებას გაივლიან უსინათლო და ყრუ-მუნჯი განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები. ისინი ყველაფერთან ერთად დაეუფლებიან თეატრისათვის ისეთ დეფიციტურ პროფესიებს, როგორიცაა თეატრალური კოსტიუმების მკერავ-გამომშვრელი, სადადგმო ნაწილის გამგე, მუსიკალური გამფორმებელი, ბუტაფორი, გრიმიორი და ა. შ. ამ ბავშვებიდან ყველაზე კარგი მონაცემების მქონეთ კი ხელს შევუწყობთ უმაღლესი განათლების მიღებაში.

— როგორ შეხვდნენ ამას ბავშვები?

— ვერც კი წარმოიდგენთ როგორი სიხარულით. ამას წინათ ამბავი მომიტანეს სუსტად მხედველი ბავშვების სკოლა-ინტერნატიდან, სულ თქვენთან შეხვედრაზე ოცნებობენო.

— რა აზრის არიან ყოველივე ამის შესახებ თქვენი მსახიობები?

— თუ მხედველობაში გაყავთ უსინათლო და ყრუ-მუნჯი ადამიანები, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ენთუზიაზმი სხვაგან იშვიათად მინახავს. უაღრესად სერიოზული მიდგომა საკითხისადმი, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, თეატრისადმი თავდადება და სიყვარული სჩანს მათ ყოველ ნაბიჯში თუ საქციელში. ხოლო რაც შეეხება პროფესიონალებს, ისინი ძალიან სათუთად ცდილობენ თანაბარ პოზიციაში ჩაიყენონ თავი ახალბედებთან. ეს ძალიან ჯანსაღ და სწორ შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნის თეატრში.

— სულ რამდენი მსახიობია?

— დღეისათვის 38. აქედან 6 უსინათლო და 8 ყრუ-მუნჯი.

— როგორი იქნება თქვენი თეატრის ძირითადი გეზი?

— ჟანრი განუსაზღვრელი — მიუზიკლი, სატირა, კომედია, დრამა... მთავარია პიესას პოლიტიკური, ეროვნული სატკივარი ედოს სარჩულად. ამჟამად სამ პიესაზე ვმუშაობთ და სამივეს სწორედ ასეთი ელფერი აქვს. სპექტაკლი პოლიტიკის გარეშე დღეს არ შეიძლება. ეს ჩემი ღრმა რწმენაა და მინარია, რომ ჩემთან ერთად ასე ფიქრობს მთელი დასი.

— როდის მიგვიწვევთ პრემიერაზე?

თუ ყველაფერი კარგად იქნა, ალბათ ოქტომბრის ბოლოს ერთად გაჩვენებთ სამ პრემიერას.

— ეს როგორ უნდა გავიგოთ?

— ყველა ახალ საქმეს თავიანი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. აქედან გამომდინარე, მხარდაჭერისა და თანადგომის პარალელურად, პრობლემებიც უამრავია. დიდი გულისყურით მოეკიდნენ და ხელი გაუმართეს ჩვენს წამოწყებას თეატრის მოღვაწეთა კავშირმა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებამ. მაგრამ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მოულოდნელი მოქმედება უსინათლოთა საზოგადოების მხრიდან. მათი თავმჯდომარე ბ-ნი ნოდარ რუხაძე და მისი მოადგილე ბ-ნი გოგი ჭუმბურიძე თავიდან მხარს უჭერდნენ ამ იდეას, შემდეგ რაღაც აუხსნელი ამბავი მოხდა. მათი პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი დადებითი აზრი გამოითქვა თეატრის შექმნის თაობაზე. შემდეგ ეს აზრი საზოგადოებრივი საბჭოს სხდომაზე რადიკალურად შეიცვალა. ამ სხდომასაც ვესწრებოდი, ვიბრძოდი კიდეც, მაგრამ ვერაფერს გავხდი. წინ რაღაც ყრუ კედელი დამხვდა. აღსანიშნავია, რომ ამ საბჭოს სხვა ხალხი შეადგენს, პრეზიდიუმს კი, სულ მცირედი გამონაკლისით, სხვა. საოცრად შეურაცხყოფილი წამოვედი ამ საბჭოს სხდომიდან, თითქოს ფულს სახლში წასაღებად ვითხოვდი. ჩემთან ერთად თვით თეატრის მცნებაც გაისვარა ტალახში... ასეა თუ ისე, უსინათლოთა საზოგადოებამ უარი გამოგვიცხადა მატერიალურად ხელის გამართვაზე. ამ ეტაპზე კი ახალი თეატრისათვის ეს ლახვარის ჩაცმას უდრის — შესაკერი გვაქვს უამრავი კოსტიუმი, გასაკეთებელია სამი სპექტაკლის დეკორაცია, დასაბეჭდია ბილეთები, აფიშები, სარეკლამო პროსპექტები, გადასაღებია ვიდეოკლიპები, შესაძენია ხმის გამაძლიერებელი საკონცერტო აპარატურა, რადგან ერთ-ერთი სპექტაკლი მიუზიკლია... აღარაფერს ვამბობთ თეატრის უბინაობაზე. ეს ყველაფერი ფული ღირს. ჩვენ ჯერ სეზონი არ გაგვიხსნია. იმიტომ ჩვენი საკუთარი შემოსავალი ჯერ არ გვაქვს, „ვითხოვთ დახმარებას, მაგრამ ჩვენი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მე არ მასვენებს იმ ბავშვებზე ფიქრი, რომლებიც მოუთმენლად ელიან ახალი სასწავლო წლის დადგომას ჩვენს სკოლაში გადმოსასვლელად. რა პასუხი მივცე მათ? მასწავლებლებს კი მოვძებნით ისეთებს, რომლებიც კარგა ხანს იმუშავებენ უფასოდ, მაგრამ სულ უხელფასოდ ყოფნას ადამიანი უბრალოდ, ფიზიკურად ვერ გაუძლებს.

სტუდიაში ჩასარიცხ ბავშვთა შორის სუსტად მხედველ და უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებიდან სულ 58 ბავშვია. ხუთუ უსინათლოთა საზოგადოებას არ აინტერესებს მათი ბედი? ხუთუ ამ ბავშვების ცხოვრებაც ისე უნდა წარმართოს, რომ მიუხედავად მათი გამორჩეული თეატრალური ნიჭისა, ვოკალური თუ სხვა მონაცემებისა, ბოლოს ისინიც რომელიღაც საწარმოს, რომელიღაც დაზგას უნდა მიუდგნენ ან მიუჯდნენ და უღიმღამოდ, ყოველგვარი ინტერესის გარეშე დააწებონ ცელოფანის პარკები და დაახვიონ ტუალეტის ქაღალდის რულონები იმ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასამარჯვებლად, რომლის წყალობითაც დღეისათვის მათ ანგარიშზე დაგროვილი თანხა, მათი საზოგადოებრივი საბჭოს აზრით, ჯობია უძრავ გროვად იდოს, ვიდრე მათსავე კეთილდღეობას მოხმარდეს, მითუმეტეს, რომ ჩვენთვის საჭირო თანხა ამ უძრავ გროვას სულაც არ დაეჩნდება?!

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს ამის გამოსასწორებლად?

— ჩემის აზრით, ყოველ ჩვენთაგანს უნდა ეყოს ქართველობა, საღი გონება და ბოლოს ადამიანობა, რომ მხედველობით თუ არა, აზრით მაინც განასხვავოს ერთმანეთისაგან თეთრი და შავი, საჭირო საქმე და ფუჭი ბაქი-ბუქი.

ჩვენი თეატრის მთელი შემადგენლობა მზადაა უარი თქვას ხელფასზე და მთელ ჩვენს ხელში არსებული თანხა მოახმაროს პირველ რიგში სასწავლო სტუდიის გახსნას, თუმცა ეს, უხეშად რომ ვთქვათ, „ქვეშიდან გამოსვლაა“. ეროვნული საქმის კეთებას კი, ვფიქრობთ, მეტი სერიოზულობით მიდგომა სჭირდება.

მე არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ამბავი ასე დამთავრდება. მზეს მაინც უნდა ვხედავდეთ და ახალ, კარგ იდეას ხელი არ უნდა შეეუშალოთ ძველი ყაიდის ბარიერებით როგორც ჩვენ, ასევე უსინათლოთა საზოგადოებამ... არ უნდა ჩავკლათ კარგი იდეა დაბადებამდე.

ქართველი კაცი ყოველთვის იმედით ცოცხლობდა.

ბავშვებს მაინც ნუ დაუკარგავთ იმედსა და რწმენას...

საქვეყნოდ ცნობილი მომღერლები, დასავლეთის მუსიკის ვარსკვლავები რეი ჩარლზი და სტივ უანდერი ბედნიერ არიან, რომ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საზოგადოებრივი საბჭოს გადასაწყვეტი არ გახდა თავის დროზე მათი მომავალი საესტრადო კარიერა და ისინი თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეებად დაიბადნენ.

ინტერვიუ მიმყავდა
ვეფხვია ბიბლეიანს

უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა თეატრის ანგარიშია ქალინინის (მთაწმინდის) ბინსოცბანკი 000601030.

„ყველანი სასჯელმოხდილები ვართ“

გორში, ფინანსური განყოფილების შენობის კედელზე, გამვლელთა ყურადღებას იპყრობს წარწერა: „სასჯელმოხდილთა ინტერესების დამცველი ასოციაცია“. ამ შენობაში, ყოველდღიურად დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე სასჯელმოხდილები იყრიან თავს. მოდიან ცხოვრებაში გზაგამრუდებული ადამიანები, რომლებიც თავიანთი წარსულის გამო ადგილს ვერ პოულობენ ცხოვრებაში, რომლებსაც აღარ უნდათ ძველი გზით სიარული, უნდათ ადამიანური ცხოვრება, საშუშაო.

სასჯელმოხდილთა ინტერესების დამცველი ასოციაცია გორში უკვე ხუთი წელია მოქმედებს. ამ კეთილშობილური საქმის ინიციატორია გორის მკვიდრი, ტელეეუურნალისტი მაყვალა ოქროპირიძე, ქალი, რომელსაც „უძრაობის წლებში“ თვითონ აქვს გამოცდილი, თუ რა არის უსამართლოდ სასჯელის მოხდა. 1956 წლის მოვლენებთან დაკავშირებით იგი დაიპატიმრეს. რაიონში ათასზე მეტი სასჯელმოხდილია, აქედან 440 ახალდაბრუნებულია პატიმრობიდან. ისინი სხვადასხვა ხელობის ადამიანები არიან და პირველ რიგში, პრობლემა გახდა, თუ სად დაგვესაქმებინა ისინი. ამიტომ, ჩვენ ხელშეკრულება დავუდეთ გორის სამშენებლო ტრესტს, რომ ავაშენებდით ერთ საცხოვრებელ კორპუსს. ტრესტი დაგვთანხმდა და შეიქმენით სასჯელმოხდილთა სამშენებლო ბრიგადა, რომლის ბრიგადირად ავირჩიეთ ნოდარ ბედოშვილი — თქვა ქალბატონმა მაყვალამ.

სასჯელმოხდილთა ინტერესების დამცველი ასოციაციის შექმნა დროის მოთხოვნა იყო. სასჯელმოხდილს, რომელიც პატიმრობიდან ბრუნდებოდა, ძნელად იღებდნენ სამუშაოდ, ისიც ათასგვარი ბიუროკრატული წინაღმდეგობის გადალახვით, ან, საერთოდ, არ იღებდნენ, რის გამოც ვერ პოულობდა ცხოვრებაში ადგილს, შემდეგ შეგნებულად სჩადიოდა დანაშაულს და ხელმეორედ უბრუნდებოდა ციხეს. ახლა კი, ამ ასოციაციის დახმარებით, თითქმის ყველა სასჯელმოხდილი დასაქმებულია. ასოციაციის წევრები არიან არა მარტო ადგილობრივი, არამედ მთელი ქართლის ზონის სასჯელმოხდილები. მათი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, პატიმარმა ადგილზე მოიხადოს სასჯელი. დღეს უმეტესად ტუბერკულიოზით დაავადებულები ბრუნდებიან ციხეებიდან.

ასოციაციის აზრით არასრულწლოვანთა ყოფნა კოლონიაში დაუშვებელია და ისინი აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ; თავდებად თვითონ უდგებიან და იმის პირობასაც იძლევიან, რომ იზრუნებენ მათი მორალური გაჯანსაღებისათვის.

ასოციაცია სასჯელმოხდილთა შვილებზეც ზრუნავს, რომ მათ მთელი ცხოვრება არ გაჰყვეთ სასჯელმოხდილის შვილს დამღა, რომ მათ მილიციის სკოლაში თუ იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლებაც კი უნდა ჰქონდეთ.

—ჩვენს სინამდვილეში კიდევ ვხედებით ისეთ ფაქტებს, როცა შვილი ისჯება მამის დანაშაულისათვის. მაგალითად, ჰამლეტ ჩუბინიძის უფროსი ქალიშვილი, იზო, არტეკში არ გაგზავნეს იმ მოტივით, რომ მისი მამა სასჯელმოხდილი იყო. ბავშვი ორი თვე ავადმყოფობდა — თქვა ქალბატონმა მაყვალამ.

სასჯელმოხდილები გულისტკივილით საუბრობენ რუსთაველის კოლონიაში მყოფ გორელ ბიჭიკოლაღუნდარიძეზე, რომელიც, როგორც ამბობენ, შესანიშნავ ლექსებსა და მოთხრობებს წერს. მისი მეწყალების თაობაზე კიდეც მიმართეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

ასოციაციის წევრები ყოველნაირად ცდილობენ გაფანტონ ეჭვისა და უნდობლობის ის ატმოსფერო, ყოფილ პატიმრებს რომ უდგებათ ცხოვრება. ჩემი იქ ყოფნის დროს ერთი მაგალითიც გაიხსენეს: რუისში ცხოვრობს ფერმანგ სულაშვილი, რომელმაც 22 წელი გაატარა ციხეში. ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. ჩემთვის ძნელია რაიმე ვამტკიცო შეუმოწმებლად, მაგრამ, როგორც მითხრეს, ამ წლების განმავლობაში სოფელში რა დანაშაულიც მოხდა, პირველად ყოველთვის მას აბრალებენ ხოლმე სამართალდამცავი ორგანოები. დაიღალა კაცი. როცა მისი ოჯახის წევრებს შეეხვდი, მისი ბავშვი მამუკა ნერვიულობის გამო ავად იყო, „როცა გავიზრდები ის უნდა მოვკლა, ვინც მამას აწვალებსო“ — მითხრა...

ამ დღეებში ქართლის ზონის სასჯელმოხდილები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ეწვევნენ და სიონის ტაძრის ეზოში მარადმწვანე ხეები დარგეს.

ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქართლის ზონის სასჯელმოხდილთა თხოვნის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციები გაუგზავნა ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა ორგანოებს, რათა იქ შეიქმნას სასჯელმოხდილთა ინტერესების დამცველი საბჭოები.

მზია ათაბეგაშვილი
გორის რაიონი.

გზა მომავლისა

(დასასრული)

მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება ჩვენი მხრიდან ბევრად უფრო წინგადადგმული ნაბიჯი ლიტვასთან და ბალტიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან ქვეყნის განთავისუფლების პროცესი გულისხმობს ჯარების გაყვანისა და საბჭოური სტრუქტურების რღვევის. პარალელურ და არა ურთიერთგამმრიცხავ პროცესებს. ამასთან ერთად, მოხდება მთელი საქართველოს გაერთიანება ერთი კონკრეტული იდეის გარშემო (აქ მე ვგულისხმობ ყველას— დაწყებული ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, დამთავრებული რადიკალურად ოპოზიციური პარტიების წევრებით).

ასე წარმოგვიდგენია ჩვენ ჩიხიდან გამოსავალი.

ადრეც ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ საკუთარი აზრის ფანატიკოსი არასდროს ვყოფილვარ. ამიტომაც მორჩილად მივიღებ ყოველ კონსტრუქციულ აზრს და წინადადებას, რომელიც საქართველოს კეთილდღეობისათვის იქნება გამიზნული. ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. დროა, რომ ყველანი ერთად დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ, როგორ ვიმოქმედოთ შემდგომში. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი პიროვნული დაპირისპირება და პარტიულარული ურთიერთქიშპი, რაც უცილობელ დაღუპვამდე მიგვიყვანს ჩვენ.

მე დიდი იმედი მაქვს ყველა ქართველის კეთილგონიერებისა და ვული გამოხმაურებებს ჩვენს მოსაზრებებზე, აგრეთვე ტელედებატებსა და დისკუსიებს და, რაც მთავარია, ურთიერთშეთანხმების მიღწევას, რაც ჩვენი გამარჯვების ერთადერთი საწინდარია.

ირაკლი კაკაბაძე,
საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული | ახალგაზრდობის ასოციაციის პრეზიდენტი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ — ᲛᲔᲥᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲠᲐᲛᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ — ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ — ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ — ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ ᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲘᲠᲡ ᲓᲐᲒᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡᲐ...

ᲙᲝᲡᲢᲐ-ᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲗᲕᲚᲘᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲣᲮᲔᲠᲮᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲡᲢᲐᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲚᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲑᲔᲚᲝ ᲙᲝᲜᲔᲮᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲛᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲣᲠᲐ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲯᲝᲜᲡᲢᲝᲜᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲜ ᲛᲐᲙᲘᲜᲐᲚᲘᲡ. ᲗᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲔᲠᲗᲤᲔᲠᲝᲕᲜᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲙᲝᲡᲢᲐᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ

ᲓᲐ ᲐᲘ, 11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲒᲔᲜᲣᲘᲡ „ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲐᲒᲔᲛᲔᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ. ᲠᲝᲠᲘ ᲢᲐᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲐᲒᲔᲛᲔᲡ „ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲐᲒᲔᲛᲔᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ. ᲠᲝᲠᲘ ᲢᲐᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲔᲚ�გᲘᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲜᲪᲝ ᲨᲘᲤᲝᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲝᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ. ...ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲜᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲓᲐ Ე�გᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝᲡ „ᲓᲔᲚᲐ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲐᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ Ე�გᲕᲘᲞᲢᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ ᲒᲐᲰᲧᲝ Ე�გᲕᲘᲞᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲔᲠᲐᲓ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲝᲛᲓᲐᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐ ᲨᲘᲜ Ე�გᲕᲘᲞᲢᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲜᲔᲜ, რᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲐ. ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ (ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲰᲐᲜᲡ ᲕᲐᲜ ᲑᲠᲘᲝᲙᲔᲚᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲣᲣᲓ ᲒᲣᲚᲘᲢᲘᲗ, ᲤᲠᲐᲜᲙ ᲠᲘᲘᲙᲐᲐᲠᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲐᲚᲓ ᲕᲐᲜᲔᲜᲑᲣᲠᲒᲡ.

ᲛᲐᲨ, ᲐᲡᲔ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲘᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲣᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ...

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ — ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲚᲝᲢᲐᲠ ᲛᲐᲗᲔᲣᲡᲘ; ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ — ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲝᲖᲔᲠᲘ.

ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲜᲔᲚᲐᲓ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲜᲔᲚᲐᲓ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲗᲔᲑᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲔᲑᲡ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲣᲧᲐᲝᲜᲐᲖᲔ: ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ — 90X60 ᲡᲛ, ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲘᲡᲐ — 30X 30 ᲡᲛ. ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲣᲗᲜᲘᲨᲜᲐ ᲨᲘᲤᲠᲘ, ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲚᲓᲔᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲨᲘᲤᲠᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲨᲘ ᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ: ᲒᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ (ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ), ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.

— ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — 1000 (ᲐᲗᲐᲡᲘ) ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲝᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ 250-250 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 30, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ. ᲝᲗᲐᲮᲘ 410.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ — ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ —

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐ — ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲠᲘᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ, ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲨᲘᲤᲠᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲣᲧᲐᲝᲜᲐᲖᲔ: ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ — 90X60 ᲡᲛ, ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲘᲡᲐ — 30X 30 ᲡᲛ. ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲣᲗᲜᲘᲨᲜᲐ ᲨᲘᲤᲠᲘ, ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲚᲓᲔᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲘ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲨᲘᲤᲠᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲨᲘ ᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ: ᲒᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ (ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ), ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.

— ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — 1000 (ᲐᲗᲐᲡᲘ) ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲝᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ 250-250 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 30, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ. ᲝᲗᲐᲮᲘ 410.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲣᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ“. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲕᲫᲔᲚᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲨᲘᲛᲨᲘᲚᲔᲗᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ ᲛᲔ-6 ᲛᲣᲮᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲢᲠᲐᲜᲡᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐᲡ.

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1990 ᲬᲚᲘ.

ᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲐ ᲡᲝᲤ. ᲮᲣᲯᲐᲒᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ, ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲐᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ 100700608 ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲜᲡᲝᲪᲑᲐᲜᲙᲨᲘ.

ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲙᲐᲗᲐᲠᲬᲘᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲫᲔᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲡ, ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲝᲜ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲨᲣᲔᲗᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ.